-171
1974

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

4

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲐᲕᲠᲘᲚᲘ

თბილისი 1974

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვამტკიცებ"
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი
1974 წლის 12 თებერვალი

დროებითი დებულება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტისა.

I. ზოგადი დებულებანი

1. შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი წარმოადგენს განათლების სამინისტროს მეთოდურ დაწესებულებას, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება სკოლების სამმართველოს და მუშაობს მისი ხელმძღვანელობით.

2. მეთოდური კაბინეტი პრაქტიკულ მეთოდურ დახმარებას უწევს ყველა დაწყებით, რვაწლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას შრომითი სწავლებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიული ორენტაციის საქმეში.

3. მეთოდური კაბინეტი სწავლობს მოწინავე სკოლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების საუკეთესო გამოცდილებას და აწყობს მისი განზოგადების ორგანიზაციას.

II. მუშაობის შინაარსი და ძირითადი ფორმები

4. მეთოდური კაბინეტი ადგილებზე სწავლობს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობას და ეხმარება მათ შრომითი სწავლების გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის საქმეში.

კ. მარქსის სახ. სახ.
საბჭოთა რესპუბ.
ბიბლიოთეკა

5. მეთოდური კაბინეტი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ეცნობა შრომითი სწავლებისა და მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მდგომარეობას და ამის საფუძველზე აყენებს მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებას; ამუშავებს რეკომენდაციებს, მეთოდურ მითითებებს, რომელთაც წარუდგენს განათლების სამინისტროს განსახილველად და დასამტკიცებლად.

6. მეთოდური კაბინეტი, საჭიროების დროს, საბიუჯეტო ასიგნებისა და ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში დებს ხელშეკრულებებს ცალკეულ ორგანიზაციებთან და კერძო პირებთან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

7. მეთოდკაბინეტის მუშაკები ადგილებზე ეცნობიან შრომითი სწავლებისა და სასკოლო სახელოსნოების მოწყობილობისა და სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთზე მუშაობის მდგომარეობას; სწავლობენ სკოლის პროფორიენტაციის საუწყებათაშორისო კომისიის, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების, სკოლის სამედიცინო პერსონალისა და კლასის ხელმძღვანელების მუშაობის მდგომარეობას და ამის საფუძველზე ადგილებზე ატარებენ საუბრებს მასწავლებლებსა და სკოლების ხელმძღვანელთა შორის, შეჯამებულ მასალებს, ჩატარებული მუშაობის შესახებ, წარუდგენენ მეთოდკაბინეტის დირექტორს.

8. მეთოდკაბინეტი მუშაობს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული კვარტალური სამუშაო გეგმით.

III. მეთოდკაბინეტის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები

9. მეთოდკაბინეტს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც შეირჩევა უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე მოწინავე პედაგოგებისაგან; ინიშნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

10. კაბინეტს ჰყავს მეთოდისტები შრომით სწავლებაში, სოფლის მეურნეობაში, ბიოლოგიაში, ქიმიაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, აგრეთვე — ტექნიკური პერსონალი.

მეთოდისტებს, მეთოდკაბინეტის დირექტორის წარდგენით, ნიშნავს განათლების მინისტრი, ტექნიკურ პერსონალს — მდივან-მემანქანესა და დამლაგებელს კი — მეთოდკაბინეტის დირექტორი.

11. მეთოდურ კაბინეტთან, სათათბირო ორგანოს უფლებით, იქმნება მეთოდური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან: მეთოდკაბინეტის დირექტორი (თავმჯდომარე), მეთოდისტები, განათლების სამინისტროს, პროფტექნიკური სასწავლებლების სახელმწიფო კომიტეტის, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენელი, მოწინავე მასწავლებლები და სკოლების ხელმძღვანელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოდური საბჭო იხილავს სამუშაო გეგმებს, მეთოდურ წერილებსა და მითითებებს (რეკომენდაციებს), შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციის მდგომარეობას, აგრეთვე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხებს.

12. მეთოდური კაბინეტის მუშაობაზე პასუხისმგებელია კაბინეტის დირექტორი.

დირექტორს ევალება კაბინეტის საქმიანობაზე ხელმძღვანელობა, მატერიალურ-ტექნიკური მუშაობის დაგეგმვა და განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმის შესრულება, კაბინეტის მიერ დამუშავებული ყველა მასალის განხილვა და ზომების მიღება მათში მოცემული წინადადებების განსახორციელებლად, თანამშრომლებს შორის შრომის დისციპლინის განმტკიცება და სხვა.

13. მეთოდკაბინეტის დირექტორი და მეთოდისტები სარგებლობენ განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალი სხვა მეთოდური კაბინეტების მუშაკთათვის გათვალისწინებული ყველა შეღავათითა და შვებულებით.

IV. მეთოდკაბინეტის სახსრები, მატერიალური ბაზა, ანგარიშგება

14. შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციის მეთოდური კაბინეტი იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბიუჯეტზე.

კრედიტების განმკარგულებელი, დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში, არის მეთოდური კაბინეტის დირექტორი.

15. მეთოდკაბინეტს აქვს სათანადოდ მოწყობილი ბინა.

16. მეთოდკაბინეტი თავისი საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად უდგენს ანგარიშს განათლების სამინისტროს.

17. მეთოდური კაბინეტი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს თავისი ბეჭედი და შტამპი, სათანადო წარწერით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვამტკიცებ"
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი
1974 წელი 12 თებერვალი

ტიპობრივი დებულება
სწავლების ტექნიკურ საშუალებათა მეთოდური კაბინეტისა

1. ზოგადი დებულებანი

1. სწავლების ტექნიკურ საშუალებათა მეთოდური კაბინეტი არის მეთოდური დაწესებულება, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება შესაბამისად ასსრ განათლების სამინისტროს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებას და მუშაობს მათი ხელმძღვანელობით.

2. ავტონომიური რესპუბლიკის, საოლქო და საქალაქო მეთოდური კაბინეტი პრაქტიკულ დახმარებას უწევს ყველა ტიპის რვაწლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების საქმეში.

3. მეთოდკაბინეტი დეტალურად სწავლობს მოწინავე სკოლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების დადებით გამოცდილებას და ატარებს ღონისძიებებს მისი განზოგადების მიზნით.

II. მეთოდკაბინეტის მუშაობის შინაარსი და ძირითადი ფორმები

4. ასსრ, საოლქო და საქალაქო მეთოდური კაბინეტი სწავლობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობას, ეხმარება მათ სწავლებაში ახალი მეთოდებისა და ხერხების დანერგვასა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებაში.

5. მეთოდკაბინეტი მონაწილეობს ცალკეული სასწავლო დისციპლინების პროგრამებინ, სახელმძღვანელოებისა და მეთოდური ხასიათის დოკუმენტების დამუშავებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ეხმარება ცალკეული საგნების მასწავლებლებს პედაგოგიურ-მეთოდური კვალიფიკაციის ამაღლებასა და საგნის უკეთ დაუფლებაში. ამ მიზნით, აწყობს მათთვის სემინარებს, პრაქტიკუმებს, ლექციებს, ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებს; ეხმარება სკოლებს რჩევა-დარიგებითა და მეთოდური რეკომენდაციებით, კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების შესავსები ხელსაწყო-იარაღებისა და ტექნიკური მოწყობილობის შერჩევით.

7. ტექნიკურ საშუალებათა მეთოდური კაბინეტი ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების, ამ დარგში სკოლების მიერ ჩატარებული მეთოდური მუშაობის შესწავლის საფუძველზე, უზრუნველყოფს მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებას; ქმნის კარტოთეკას სახალხო განათლების საუკეთესო დაწესებულებებზე; საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პოლიტექნიკური სწავლებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტთან შეთანხმებით ამუშავებს მეთოდურ მითითებებს, რეკომენდაციებს, იხილავს მათ მეთოდური საბჭოს სხდომაზე, რის შემდეგაც დასამტკიცებლად უდგენს შესაბამის ასსრ განათლების სამინისტროს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო ან საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებას.

8. მეთოდური კაბინეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკთა პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნებისა და მათი მეცნიერული ცოდნის ასამაღლებლად ატარებს პრაქტიკულ სემინარებს, აწყობს ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების საქმეში მოწინავე სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობის ამსახველ გამოფენას, ამუშავებს და დასაბეჭდად ამზადებს სხვადასხვა ხასიათის მეთოდურ მითითებებსა და წერილებს.

9. სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებში დაზიანებული და სახმარად გამოუსადეგარი ხელსაწყო-იარაღების შესაკეთებლად მეთოდკაბინეტთან იქმნება სახელოსნო.

10. მეთოდკაბინეტის მეთოდისტები შესაბამის ასსრ, ოლქისა და ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობენ ცალკეული საგნების სწავლების საქმეში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების, ხელსაწყო-იარაღებით კაბინეტ-ლაბორატორიების აღ-

ჭურვისა და სასკოლო სახელოსნოების მოწყობის მდგომარეობის, მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილების, მათი გულმოდგინე ანალიზის, ამ დარგში სკოლის სასწავლო-მეთოდური დაჯილდოებ-ბის-ბიბლიოთეკა
პრაქტიკულ-შემოქმედებითი საქმიანობის გულმოდგინედ შესწავლის საფუძველზე, მეთოდისტები ადგილებზე ატარებენ საუბრებს მასწავლებლებთან და სკოლების ხელმძღვანელებთან, აჯამებენ მათ მიერ ჩატარებულ მთელ მუშაობას და მეთოდკაბინეტის გამგეს უდგენენ მოხსენებით ბარათს სკოლების საქმიანობის ანალიზითა და საჭირო წინადადებებით.

11. მეთოდკაბინეტი მუშაობს შესაბამისი ასსრ განათლების სამინისტროს, ოლქის, ქალაქის სახალხო განათლების განყოფილების მიერ დამტკიცებული კვარტალური გეგმის მიხედვით.

III. მეთოდკაბინეტის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები

12. კაბინეტის სტრუქტურასა და შტატს განსაზღვრავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

13. მეთოდკაბინეტს სათავეში უდგას გამგე, რომელიც შეირჩევა უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე მოწინავე პედაგოგებისაგან და, ასსრ განათლების სამინისტროს, ოლქის, ქალაქის განათლების განყოფილების წარდგენით, ინიშნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

14. მეთოდკაბინეტს ჰყავს თანამშრომლები:

ა) მეთოდისტები სწავლების ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებისა და დაპროგრამებული სწავლების ხაზით, უმაღლესი განათლებითა და სკოლაში პრაქტიკული მუშაობის არანაკლები სამი წლის სტაჟით;

ბ) კინომექანიკოსი, ფილმების მიმღები და გამცემი, ფილმების შემმოწმებელი — მონტაჟისტი, ხელოსანი და მომსახურე ტექნიკური პერსონალი;

გ) მეთოდისტების, კინომექანიკოსების, ფილმების გამცემისა და მიმღების, ფილმების შემმოწმებელ-მონტაჟისტის შესაბამის თანამდებობებზე დანიშვნა და განთავისუფლება ხდება მეთოდური კაბინეტის გამგის წარდგინების საფუძველზე, ასსრ განათლების მინისტრის, საოლქო, საქალაქო განათლების განყოფილების გამგის ბრძანებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მომსახურე ტექნიკური პერსონალი (მდივან-მემანქანე, მოანგარიშე, ლაბორანტი და დამლაგებელი) ინიშნება და თავისუფლდება მეთოდური კაბინეტის გამგის ბრძანებით.

15. მეთოდკაბინეტთან, სათათბირო ორგანოს უფლებით, იქმნება მეთოდური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან: კაბინეტის გამგე (თავმჯდომარე), მეთოდისტები, განათლების განყოფილების წარმომადგენლები, ზოგი მოწინავე სკოლის ხელმძღვანელი და მასწავლებლები.

კაბინეტის მეთოდური საბჭო იხილავს: სამუშაო გეგმებს, ანგარიშებს, მეთოდურ წერილებს, მითითებებს, რეკომენდაციებს, ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობასა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს; ამუშავებს და ასსრ განათლების მინისტრებს, საოლქო, საქალაქო განათლების განყოფილებას უდგენს თავის წინადადებებს პედაგოგიური პროცესის ეფექტურობის ამაღლებისა და სკოლების მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადების შესახებ.

16. მეთოდკაბინეტის მთელ საქმიანობაზე პასუხისმგებელია კაბინეტის გამგე, რომელსაც ევალება: ხელმძღვანელობა კაბინეტის მუშაობაზე, პედაგოგიურ-მეთოდური და მატერიალურ-ფინანსური მუშაობის დაგეგმვა და განათლების განყოფილების მიერ დამტკიცებული გეგმის შესრულება, კაბინეტის მიერ დამუშავებული ყველა სასწავლო-მეთოდური მასალის განხილვა და ღონისძიებათა გატარება მათში მოცემულ ანგარიშვასაწევ წინადადებათა განსახორციელებლად; წინადადებათა შემუშავება და წარდგენა კაბინეტის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების უზრუნველყოფისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის.

17. მეთოდკაბინეტის გამგე და მეთოდისტები სარგებლობენ შვებულებებითა და შეღავათებით, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალი სხვა მეთოდკაბინეტების ამავე თანამდებობის მქონე მუშაკთათვის.

IV. მეთოდკაბინეტის სახსრები, მატერიალური ბაზა, ანგარიშგება

18. სწავლების ტექნიკურ საშუალებათა ასსრ, საოლქო და საქალაქო მეთოდური კაბინეტი იმყოფება ასსრ- განათლების სამინისტროს, მშრ. დეპ. საოლქო და საქალაქო აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების ბიუჯეტზე.

დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში კრედიტების განმკარგულებელია კაბინეტის გამგე.

19. მეთოდური კაბინეტი, საჭიროებს დროს, საბიუჯეტო ასიგნებისა და ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში დებს ხელშეკრულებებს ცალკეულ ორგანიზაციებთან და კერძო პირებთან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

20. მეთოდკაბინეტის მატერიალურ ბაზას შეადგენს სათანადოდ მოწყობილი სამუშაო ბინა, ბიბლიოთეკა, სასწავლო კაბინეტების მოწყობილობათა და ტექნიკურ საშუალებათა ნიმუშები, სახელოსნო სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიების დაზიანებული ხელსაწყოიარაღების შესაკეთებლად და საბარგო ავტომანქანა თავისი სადგომითურთ.

21. მეთოდკაბინეტი ყოველწლიურად უდგენს ანგარიშს შესაბამის ასსრ სამინისტროს, საოლქო და საქალაქო სახალხო განათლების განყოფილებას მის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

22. მეთოდკაბინეტი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს თავისი ბეჭედი და შტამპი, სათანადო წარწერით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 12 თებერვლის ბრძანება № 106

ამბროლაურის, ახმეტის, გურჯაანის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მესტიის, ონის, სიღნაღის, წითელწყაროს, საგარეჯოს, თელავის, თიანეთისა და ცაგერის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, რომელმაც მოისმინა ამბროლაურის, ახმეტის, გურჯაანის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მესტიის, სიღნაღის, წითელწყაროს, საგარეჯოს, თელავის, თიანეთის, ცაგერისა და ონის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების ამხ. ამხ. მ. ჭიღვარიას, ს. სალაძის, მ. თოდაშვილის, შ. ჯინჭარაძის, ჯ. ონიანის, ნ. გუჯეჯიანის, შ. რეხვიაშვილის, ე. დალაქიშვილის, ნ. ბოსტოღანაშვილის, ნ. ჭანტურიას, ა. თვალიაშვილის, ე. თურქიაშვილისა და ლ. ჩიქოვანის ანგარიშები საყოველთაო-სავალდებულო 8-წლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელების მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს რომ დასახელებულ რაიონებში სერიოზული ნაკლოვანებებია საყოველთაო სწავლების გატარების საქმეში. წინა წლებში სკოლას ჩამოცილებული სასკოლო ასაკის ბავშვებიდან დაბრუნებულ იქნენ ახმეტის რაიონის სკოლებში მხოლოდ 5 ბავშვი, გურჯაანის — 11, მესტიის — 6, ონის — 7, ლენტეხის — 4, თიანეთის — 8, თელავის—9, საგარეჯოს — 9, წითელწყაროს რაიონში — 11 ბავშვი.

0-X კლასებში 1973-1974 სასწავლო წლის სახალხო სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულ მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შეს-

რულებას აკლია: ახმეტის რაიონში 155 ბავშვი, გურჯაანის — 416, ონის — 109, საგარეჯოს — 25, სიღნაღის — 242, თელავის — 41[illegible], თიანეთის — 24, ცაგერის — 192, წითელწყაროს რაიონში — 391 ბავშვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდია სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა. მარტო — 0-VIII კლასებიდან 1972-1973 სასწავლო წელს ამბროლაურის რაიონის სკოლებიდან გასულია 26 მოსწავლე, მათ შორის ავადმყოფობით — 14; ახმეტის რაიონის სკოლებიდან — 146, მათ შორის საღამოს სკოლებში — 35, სამუშაოზე მოწყობის გამო — 36, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 47, განითესა — 13, გურჯაანის რაიონის სკოლებიდან — 307, მათ შორის საღამოს სკოლებში — 85, ავადმყოფობით — 20, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 17, ლაგოდეხის რაიონის სკოლებიდან — 190, მათ შორის საღამოს სკოლებში — 75; ლენტეხის რაიონის სკოლებიდან — 55; მესტიის რაიონის სკოლებიდან — 68; ონის რაიონის სკოლებიდან — 112, მათ შორის საღამოს სკოლებში — 14, ავადმყოფობით — 10, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 17; საგარეჯოს რაიონის სკოლებიდან — 213, აქედან საღამოს სკოლებში — 94; სიღნაღის რაიონის სკოლებიდან — 82; თელავის რაიონის სკოლებიდან — 200, მათ შორის საღამოს სკოლებში — 26, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 35, გათხოვდა — 12, განითესა — 9; თიანეთის რაიონის სკოლებიდან — 74; ცაგერის რაიონის სკოლებიდან — 73, მათ შორის ავადმყოფობით — 22; წითელწყაროს რაიონის სკოლებიდან — 193, მათ შორის საღამოს სკოლებში — 54, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 47, სამუშაოზე მოწყობის გამო — 11, განითესა 10 მოსწავლე.

მოუთმენლად დიდია საღამოს სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა. 1972-1973 სსაწავლო წელს საღამოს სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა შესაბამისი მოსწავლეთა კონტინგენტის მიხედვით შეადგენს ახმეტის რაიონში 19,1%-ს, ამბროლაურის — 18,5%, გურჯაანის — 18,9%, ლაგოდეხის — 17,5% ლენტეხის — 17,4%, მესტიის — 16,4%, ონის — 27,4%, საგარეჯოს — 6,9%, სიღნაღის — 18,3%, თელავის — 21,1%.

სახალხო განათლების ორგანოები და სკოლების ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან წლიური ანგარიშებისა და სტატისტიკური ფორმების შედგენის საქმეს. მესტიის რაიონში 1972-1973 სასწავლო წლის ანგრიშში არ ჩანს თუ სად წავიდა 84 ბავშ-

ვი. ამბროლაურის რაიონში — 10, ახმეტის — 9, გურჯაანის — 53, ლენტეხის—46, ლაგოდეხის—28, ონის—31, თელავის—27, ფიანეთის — 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV-VIII კლასების მოსწავლეები ტექნიკუმებში გადასულადაა ნაჩვენები გურჯაანის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ვ. დოლენჯაშვილი) 3 ბავშვი, ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. ჩხეიძე) — 1, შრომის საშუალო სკოლიდან (დირექტორი თ. ყაველაშვილი) — 1, საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. პავლიაშვილი) — 4, წითელწყაროს რაიონის არბოშიკის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. მაძღარაშვილი) — 2; ამავე რაიონის ქვემო ქედის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ე. გულიაშვილი) 5 ბავშვი გასულია გონებაჩამორჩენილობისა და — სამუშაოს დაწყების გამო; თელავის რაიონის ყარაჯალის საშუალო სკოლიდან (დირექტორი შ. ალიევი) გასულია ასაკგადაცილებულობის გამო — 15, გათხოვების გამო — 19, გარიცხულია — 1; ცაგერის რაიონის ზუბის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ვ. ჩანკვეტაძე) სკოლის სიშორის გამო გასულია — 5, ამავე მიზეზით ჩხუტელის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ნ. გასვიანი) გასულია 2 ბავშვი.

სკოლები ქმედით ზომებს არ ღებულობენ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად. 8 წლის წინათ კლასში მიღებულთაგან ამჟამად მე-8 კლასში აგრძელებს სწავლას ამბროლაურის რაიონში მოსწავლეთა 91,8%, ახმეტის — 90,3%, გურჯაანის — 95%, ლაგოდეხის — 93,7%, ლენტეხის — 82,2%, მესტიის — 93%, ონის — 86%, საგარეჯოს — 84,4%, სიღნაღის — 95%, თელავის — 90%, თიანეთის — 87,5%, ცაგერის — 97,3%, წითელწყაროს რაიონში — მოსწავლეთა 88,7%.

სკოლებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. დიდია მეორეწლიანთა რაოდენობა, რომელთა საგრძნობი ნაწილი ტოვებს სკოლას. 1972-1973 სასწავლო წლის შედეგად ამბროლაურის რაიონში იმავე კლასში დატოვებულ იქნა 112 მოსწავლე, ახმეტის რაიონში — 295, გურჯაანის — 530, ლაგოდეხის — 331, ლენტეხის — 127, მესტიის — 178, საგარეჯოს — 539, ონის — 171, თელავის — 314, თიანეთის — 116, სიღნაღის — 136, ცაგერის — 127, წითელწყაროს რაიონში — 269 მოსწავლე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათგან 1973-1974 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არ გაუგრძელებია სწავლა ამბროლაურის რაიონში — 7, მეორეწლიან მოსწავლეს, ახმეტის რაიონში — 119, გურჯაანის — 127, ლაგოდეხის — 3, ლენტეხის — 32, მესტიის — 30, საგარეჯოს — 121, ონის — 19, თელავის — 39, თიანეთის — 29, სიღნაღის — 64, ცაგერის — 7, წითელწყაროს რაიონში — 31 მეორეწლიან მოსწავლეს.

აღსანიშნავია, რომ I-III კლასებში დატოვეს ამბროლაურის რაიონში 88 ბავშვი, ახმეტის რაიონში — 17, გურჯაანის — 40, ლაგოდეხის — 63, ლენტეხის — 43, მესტიის — 42, ონის — 15, საგარეჯოს — 66, სიღნაღის — 16, თელავის — 22, თიანეთის — 12, ცაგერის — 23, წითელწყაროს რაიონში — 34 მოსწავლე.

მიმდინარე სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგად ვერ ასწრებს ლაგოდეხის რაიონში 30 მეორეწლიანი მოსწავლე, საგარეჯოს რაიონში — 243, მარტო იორმუღანლოს საშუალო სკოლაში ვერ ასწრებს 66 მეორეწლიანი მოსწავლე, გომბორის საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. ალბუთაშვილი) — 10, კაკაბეთის საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. პავლიაშვილი) — 12; ცაგერის რაიონში — 6; წითელწყაროს რაიონში — 33, მათ შორის ქვემო ქედის საშუალო სკოლაში — 7, წითელწყაროს რუსულ საშუალო სკოლაში — 15; გურჯაანის რაიონში — 106, მათ შორის ქ. გურჯაანის საშუალო სკოლაში — 12, ველისციხის საშუალო სკოლაში — 14, ვაზისუბნის საშუალო სკოლაში — 11, შრომის სკოლაში — 11.

სახალხო განათლების ორგანოები, სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები ქმედით ზომებს არ ღებულობენ სასკოლო დისციპლინის განმტკიცებისათვის. დიდია მოსწავლეთა მიერ არასპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა. 1972-1973 სასწავლო წელს ახმეტის რაიონის სკოლებში გაცდენილია არასპატიო მიზეზით 33.900 გაკვეთილი, სიღნაღის რაიონში — 18783, თელავის — 21 393, თიანეთის — 11259, ონის — 24840, ცაგერის — 3308, წითელწყაროს რაიონში — 41674 გაკვეთილი.

არ არის შესრულებული გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისა და მასში ჩაბმულ აღსაზრდელთა კონტინგენტის გეგმა. გურჯაანის რაიონში არის მხოლოდ გახანგრძლივებული დღის 5 ჯგუფი 140 აღსაზრდელით, ონის რაიონში — 4 ჯგუფი 121 აღსაზრდელით, თია-

ნეთის რაიონში 27 ჯგუფი 712 აღსაზრდელით. ასეთი ჯგუფები სრულიად არ არის გახსნილი ახმეტის რაიონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ ღარიბია სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა. სახალხო განათლების ორგანოები და სკოლების ხელმძღვნელები საჭირო ღონისძიებებს არ ატარებენ სასწავლო კაბინეტებისა და ლაბორატორიების სრულყოფილად მოწყობისათვის.

დიდია მეორე ცვლაში მოსწავლეთა რაოდენობა. მეორე ცვლაში მეცდინეობს ახმეტის რაიონში 2158 მოსწავლე, ლაგოდეხის — 4070, მესტიის — 252, სიღნაღის — 1391, თელავის — 2318, თიანეთის — 293, ცაგერის — 58, წითელწყაროს რაიონში 587 მოსწავლე.

1972 წლის საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდი არ აქვთ ათვისებული ამბროლაურის რაიონს 200 მან., ლაგოდეხის — 2100, ლენტეხის — 3.000, მესტიის — 2500, საგარეჯოს — 200, სიღნაღის — 7100, თელავის — 800, თიანეთის — 1100, ცაგერის — 1000, წითელწყაროს რაიონში — 2800 მან.

განათლების განყოფილებებმა და სკოლებმა ვერ შეძლეს გონებაჩამორჩენილი და ავადმყოფი ბავშვების სწავლებაში ჩაბმა. მათი რიცხვი ამბროლაურის რაიონში შეადგენს 32 ბავშვს, ახმეტის — 37, გურჯაანის — 40, ლენტეხის — 23, ლაგოდეხის — 37, მესტიის — 22, ონის — 10, საგარეჯოს — 27, სიღნაღის — 33, თელავის — 29, თიანეთის — 18, ცაგერის — 13, წითელწყაროს რაიონში 34 ბავშვს.

სახალხო განათლების ორგანოები და სკოლები მოფიქრებულ პედაგოგიურ-აღმზრდელობით ზომებს არ ღებულობენ არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედებისა და სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ამბროლაურის რაიონში ადგილი ჰქონდა არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევის 17 შემთხვევას, ახმეტის რაიონში სამართალდარღვევის 67 შემთხვევას, გურჯაანის რაიონში — 26, ლაგოდეხის რაიონში — 39, ლენტეხის რაიონში — 19, მესტიის რაიონში — 21, ონის რაიონში — 14, საგარეჯოს რაიონში — 26, სიღნაღის რაიონში — 23, თიანეთის რაიონში — 13, ცაგერის რაიონში — 16, წითელწყაროს რაიონში — 31.

საყოველთაო-სავალდებულო 8-წლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამთავრების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღ-
მოსაფხვრების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ამბროლაურის, ახმეტის, გურჯაანის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მესტიის, საგარეჯოს, სიღნაღის, თელავის, თიანეთის, ონის, ცაგერისა და წითელწყაროს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ამხ. ამხ. ა. ჭიღვარიამ, ს. სალაძემ, მ. თოდაშვილმა, შ. ჯიხჭარაძემ, ჯ. ონიანმა, ნ. გუჯეჯიანმა, ნ. ჭანტურიამ, ე. დალაქიშვილმა, ა. თვალიაშვილმა, ე. თურქიაშვილმა, შ. რეხვიაშვილმა, ლ. ჩიქოვანმა, ნ. ბოსტოღანაშვილმა:

ა) 1974-1975 სასწავლო წლის 1 სექტემბრისათვის უკლებლივ ჩააბან სწავლებაში ყველა ბავშვი და მოზარდი, რომელთაც არა აქვთ რვაწლიანი ან საშუალო განათლება. პირადი პასუხისმგებლობა ამ საქმეში დააკისრონ სკოლების დირექტორებს, რომლებმაც ადგილობრივ საბჭოებთან ერთად უნდა ჩაატარონ სასკოლო ასაკის ამ ბავშვთა და მოზარდთა ზუსტი აღრიცხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სათანადო კლასებში, ტექნიკუმებსა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებში მათი ჩაბმის მიზნით;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ ბავშვების აღრიცხვასა და მოწყობას სკოლებში, რომლებიც ადგილობრივ საკომლო სიებში თუ საბინაო დავთრებში არ ირიცხებიან, მაგრამ ფაქტიურად ცხოვრობენ ამა თუ იმ სოფელში, დაბასა და ქალაქში, ამასთან, დააზუსტონ იმ მოზარდთა სიები, რომლებიც ირიცხებიან საკომლო წიგნებსა და დავთრებში, მაგრამ ფაქტიურად არ ცხოვრობენ მოცემული რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე და მიიღონ ზომები, რათა ეს ბავშვები არ მოხვდნენ სტატისტიკური ანგარიშების სიებში;

გ) ცალკე შეადგინონ სხვადასხვა ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვთა და მოზარდთა სიები და უზრუნველყონ მათი ჩაბმა სპეციალურ სკოლებში; იმათთვის, ვისაც ფიზიკური შესაძლებლობა არ აქვს იაროს სკოლაში, დააწესონ მასწავლებლების ბინაზე მიმაგრების პრაქტიკა, კანონით დადგენილი წესების დაცვით; უზრუნველყონ ამ კატეგორიის ბავშვები და მოზარდები სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებითა და რეგულარული კონსულტაციებით;

დ) მიაღწიონ იმას, რომ ყოველი წლის 5 სექტემბრამდე მოახწესრიგონ მოსწავლეთა ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლა, საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივ სკოლების დაკომპლექტება და პროფტექნიკურ სასწავლებლებში გეგმით გათვალისწინებულ მოსწავლეთა გაგზავნა, ხოლო შემდგომ, სკოლებიდან ბავშვების გადაყვანა მოახდინონ განსაკუთრებულ შემთხვევაში, მხოლოდ მშობლების საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის გამო;

ე) 1973-1974 სასწავლო წლის ბოლოს განათლების სამინისტროში წარმოდგენილ ანგარიშებს აუცილებლად დაურთონ ზუსტი სიები მოსწავლეთა მოძრაობის შესახებ;

ვ) სკოლის ხელმძღვანელებთან ერთად მიაღწიონ იმას, რომ მასწავლებელი გაკვეთილის მომზადებისას წინასწარ გაეცნოს სახელმძღვანელოს, დამხმარე ლიტერატურას, სწავლებისათვის საჭირო სხვადასხვა დიდაქტიკურ მასალას, რომ ყოველი გაკვეთილი ჩაატარონ მაღალ პოლიტიკურ და მეცნიერულ დონეზე, ვინაიდან ორგანიზებული, შინაარსიანი, საინტერესო და მეთოდურად გამართული გაკვეთილი წარმოადგენს მოსწავლეთა ნებისყოფის, ძალების მობილიზაციის, შეგნებული დისციპლინისა და სწორი მოქმედების ეფექტურ საშუალებას.

2. საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეში არსებული სერიოზული დარღვევებისათვის საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის საშუალო სკოლის დირექტორს გ. პავლიაშვილს, გომბორის საშუალო სკოლის დირექტორს ჯ. ალბუთაშვილს, ცაგერის რაიონის ზუბის საშუალო სკოლის დირექტორს ა. ჩანკვეტაძეს გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

3. საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის გურჯაანის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. დოლენჯაშვილს, წითელწყაროს რაიონის არბოშიკის საშუალო სკოლის დირექტორს ა. მაძღარაშვილს, ქვემო ქედის საშუალო სკოლის დირექტორს ე. გულიაშვილს, ცაგერის რაიონის ჩხუტელის საშუალო სკოლის დირექტორს ნ. გასვიანს, თელავის რაიონის ყარაჯალის საშუალო სკოლის დირექტორს შ. ალიევს გამოეცხადოთ საყვედური.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბ. ... სახ. საქ. ... საბჭოთა რესპუბლ. ...

4. დასახელებული რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა მათზე დამოკიდებული ყველა ზომა მიიღონ ამ ბრძანებით აღნიშნული ნაკლოვანებების უახლოეს დროში აღმოსაფხვრელად და მუშაობის არსებითად გარდასაქმნელად.

5. სკოლებისა (ამხ. რ. კანდელაკმა) და საგეგმო-საფინანსო სამმართველოებმა (ამხ. ა. კვაჭაძემ) მტკიცე კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების შესრულებაზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 7 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 20 თებერვლის ბრძანება № 121

საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახელობის საგურამოს რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კონტინგენტით დაკომპლექტების შესახებ

ვბრძანებ:

1. მოსწავლეთა მისაღები კონტინგენტი 1974-1975 სასწავლო წლისათვის ხუთ VIII კლასში დამტკიცდეს 150 მოსწავლის რაოდენობით.

2. მერვე კლასებში მიღებულ იქნენ 13-14 წლის ასაკის ვაჟები, რომლებიც წარმატებით დაამთავრებენ შვიდ კლასს, გადაყვანილი იქნებიან მერვე კლასებში და ჯანმრთელობის მდგომარეობა ვარგისნი აღმოჩნდებიან სწავლის გახანრძელებლად სამხედრო სასწავლებლებში.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რსეპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

1. რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების დირექტორების, სამხედრო ხელმძღვანელების, ორგანიზატორების, მეშვიდე კლასების ხელმძღვანელების, ადგილობრივი ალკკ კომიტეტებისა და სამხედრო კომისარიატებისა და მშობელთა კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით ა/წლის 28 თებერვლამდე ჩაატარონ სპეციალური თათბირები, სადაც გულდასმით განიხილონ ეს ბრძანება, სახელმძღვანელო მასალები და ყველა საჭირო დოკუმენტი საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახელობის საგურამოს რესპუბლიკური სპეციალიზებული

საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებით დაკომპლექტების თაობაზე.

2. შექმნან კომისიები, რომლებიც უნარიანად უხელმძღვანელებენ რვაწლიან, საშუალო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში ღირსეული კანდიდატების დროულად შერჩევას საგურამოს რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის მერვე კლასების მოსწავლეებით დასაკომპლექტებლად.

3. სკოლა-ინტერნატში მიღების პირობები ფართოდ გააცნონ სკოლების ხელმძღვანელებს, პედაგოგიურ კოლექტივებს, მშობლებსა და მთელ საზოგადოებრიობას.

4. პირადი პასუხისმგებლობა დააკისრონ სკოლების დირექტორებს ამ ღონისძიების წარმატებით შესრულებისათვის.

5. აქ მოცემული დანართის მიხედვით, ყოველ ორ კვირაში გვაცნობონ შერჩეულ კანდიდატთა რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ, ხოლო ა/წ 5 ივლისამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარუდგინონ საჭირო საბუთები ყველა კანდიდატზე.

6. ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი, საშუალო სკოლებისა და სკოლა-ინტრენატების დირექტორებმა:

ა) გააძლიერონ მოსწავლეებში სამხედრო პროფესიების პროპაგანდა ისე, რომ VII კლ. მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს გამოუშუშავდეს მტკიცე მიდრეკილება, სწავლა განაგრძოს საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახელობის საგურამოს რესპუბლიკურ სპეციალიზებულ საშუალო სკოლა-ინტერნატში, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ — უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებსა და აკადემიებში.

ბ) მეშვიდე კლასის მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩაატარონ აუცილებელი პედაგოგიური მუშაობა, განუმარტონ მათ ამ ახალი ტიპის სკოლა-ინტერნატის მიზანი და ამოცანები, ფართოდ და საფუძვლიანად გააცნონ აღსაზრდელთათვის დაწესებული უპირატესობანი და შეღავათები;

გ) სასწავლო წლის დამთავრებამდე 2-3-ჯერ მოისმინონ სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, თუ როგორ სრულდება სამხედრო პროფესიების არჩევისადმი სკოლის პედაგოგიური კოლექტივის მიერ დასახული ღონისძიებანი;

დ) შერჩეულ კანდიდატებთან სისტემატურად ჩაატარონ სათანადო აღმზრდელობითი და სასწავლო-საგანმანათლებლო მუშაობა;

7. ეთხოვოს საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატს (გენერალ-მაიორ ვ. მურუსიძეს), მითითება მისცეს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სამხედრო კომისარიატებს, რათა საქართველოს მოს სკოლა-ინტერნატისათვის შერჩეული კანდიდატები გაატაროს საექიმო კომისიაზე იმავე წესით, რაც დადგენილია სუვოროვის სამხედრო სასწავლებლებში შემსვლელთათვის.

8. ეთხოვოს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს (ამხ. ჟ. შარტავას) დაავალოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, რათა ქმედითი დახმარება გაუწიონ სახალხო განათლების ორგანოებს საგურამოს რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატისათვის კანდიდატების შერჩევის საქმეში.

9. დაევალოს გაზ. „სახალხო განათლებას" (ამხ. ნ. შველიძეს), ფართოდ გააცნოს საზოგადოებრიობას საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახელობის საგურამოს რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის შექმნის მიზანი და მასში სწავლის გაგრძელების პირობები.

10. საქართველოს სსრ განათლებს სამინისტროს დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებამ (ამხ. ა. ორახელაშვილმა) ყოველი თვის 1-12-30 რიცხვში მომახსენოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება № 128

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეურნეო მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს მოხსენებითი ბარათით დასტურდება, რომ ახალსოფლის სკოლა-ინტერნატში აღსაზრდელთა სწავლა-აღზრდისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად სკოლა-ინტერნატის დირექციასა და პედაგოგიურ კოლექტივს გარკვეული მუშაობა აქვს ჩატარებული, მაგრამ, როგორც შემოწმებით დადგინდა, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესსა და სამეურნეო მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია, რომელთა გამოსწორების მიზნით,

ვბრძანებ:

1. ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. მ. ნარმანიამ):

ა) სკოლა-ინტერნატის მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა დირექციისა და პედაგოგიური კოლექტივის მიმართ. პერიოდულად შეამოწმოს და გააანალიზოს აღნიშნულ დაწესებულებაში სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეურნეო მუშაობის მდგომარეობა და შედეგები, საჭირო ზომების მისაღებად, განიხილოს განათლების საბჭოს სხდომაზე;

ბ) გადასინჯოს მასწავლებელთა და აღმზრდელთა შემადგენლობა და იზრუნოს მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და პედაგოგიური დახელოვნებისათვის. გადაჭრით გააუმჯობესოს სკოლა-ინტერნატში მასწავლებელთა და აღმზრდელთა მეთოდური დახელოვნების საქმე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დასახოს ღონისძიებანი სკოლა-ინტერნატის მატერიალური ბაზის განმტკიცებისა, კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და სასწავლო მოწყობილობით აღჭურვისათვის. ფართოდ ჩააბას ამ საქმეში ახლომდებარე კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და წარმოება-დაწესებულებები;

დ) გადაჭრელი ზომები მიიღოს სკოლა-ინტერნატის სამეურნეო კორპუსის უახლოეს დროში კაპიტალური შეკეთებისა და იქ პროექტით გათვალისწინებული სრული ტექნოლოგიური ციკლის აღდგენისათვის;

ე) რაიონის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად სისტემატურად შეამოწმოს სკოლა-ინტერნატებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის საქმე. პერიოდულად მოახდინოს აღსაზრდელთა მიმდინარე და ღრმა სამედიცინო შემოწმება;

ვ) მთლიანად აღკვეთოს სკოლა-ინტერნატის კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეში არსებული დამახინჯებანი და ვაჭრობის ადგილობრივი ორგანოების დახმარებით უზრუნველყოს იგი ნორმით გათვალისწინებული კვების პროდუქტებით;

ზ) განათლების სამინისტროს ბრიგადის მოხსენებით ბარათში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებისა და აღმზრდელების მიმართ გაატაროს საჭირო ზომები, დააწესოს კონტროლი მათ მუშაობაზე, ჩააბას ისინი მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებებში და თუ ამის შემდეგაც ვერ გარდაქმნიან მუშაობას, სათანადო წესის დაცვით გაათავისუფლოს სამუშაოდან.

2. ახალსოფლის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა (ამხ. ა. ჭითანავამ);

ა) რადიკალურად გარდაქმნას ხელმძღვანელობისა და კონტროლის მეთოდები, აამაღლოს მასწავლებელთა და აღმზრდელთა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ცოდნის დონისათვის; სისტემატურად შეისწავლოს და გააანალიზოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისა და სამეურნეო მუშაობის მდგომარეობა და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი;

ბ) სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფისათვის, მასწავლებელთა და აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლა-

ინტერნატში კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების დაკომპლექტებას საჭირო ხელსაწყო-იარაღებით, სასწავლო მოწყობილობითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით და ინვენტარით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმას, რათა ყოველი გაკვეთილი ტარდებოდეს პროგრამით გათვალისწინებული სადემონსტრაციო ცდების, პრაქტიკული სამუშაოებისა და თვალსაჩინოების გამოყენებით;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ამაღლებას ქართულ და რუსულ ენებში; წერის ნორმების შესრულებას, საწერი თემებისა და სახეების სწორად შერჩევას ცალკეული კლასების მიხედვით; საკლასო, საკლასო-საშინაო, საკონტროლო წერითი ნამუშევრების სისტემატურად შემოწმებასა და მათ ობიექტურ შეფასებას;

დ) სათანადო ზომები მიიღოს არასასწავლო დროის სწორად ორგანიზებისა და გონივრულად გამოყენებისათვის. იზრუნოს აღსაზრდელთა საზოგადოებრივი აქტივობისა და თვითშემოქმედების განვითარებისათვის, ინტერნატის საქმიანობაში პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების როლის ამაღლებისათვის;

ე) გადაჭრით აღკვეთოს აღსაზრდელთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები. გააუმჯობესოს მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურება, დადგენილი წესის მიხედვით ჩაატაროს მათი ღრმა სამედიცინო შემოწმება და სუსტი ჯანმრთელობის მქონე აღსაზრდელები მიავლინოს სანატორიული ტიპის სკოლა-ინტერნატებში;

ვ) უზრუნველყოს აღსაზრდელები ნორმით გათვალისწინებული კვების პროდუქტებით, მტკიცე წესრიგი დაამყაროს კვების ბლოკში, მოაშარაგოს სამზარეულო საჭირო ინვენტარითა და მოწყობილობით, უზრუნველყოს იგი მუდმივი გამდინარე ცხელი წყლით, კარ-ფანჯრებს გაუკეთოს ბუზდამცავი ლითონის ბადურის ჩარჩოები, მიაღწიოს კერძების ყუათიანობის ამაღლებასა და მათ გამრავალფეროვნებას;

ზ) სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური წესრიგი დაამყაროს სკოლა-ინტერნატში, იზრუნოს ესთეტიკურად მიმზიდველი გარემოს შექმნისათვის. ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა პირად ჰიგიენას, მათ ჩაცმულობასა და ვარცხნილობას.

3. საგნის სუსტი ცოდნისა და მუშაობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური

ახალსოფლის სკოლა-ინტერნატის ისტორიის მასწავლებელ ლ. ბენ-
დელიანს.

4. გამოეცხადოთ საყვედური:

ა) საგნის სწავლებაში სერიოზული ნაკლოვანებებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს მ. ხვიჩიას, მათემატიკის მასწავლებელს გ. ქოჩუას.

ბ) საალმზრდელო მუშაობის ხელმძღვანელობასა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებაში სერიოზული ნაკლოვანებებისათვის — დირექტორის მოადგილეს აღმზრდელობით დარგში თ. ბერაძეს;

გ) სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეურნეო მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის — სკოლის დირექტორს ა. ჭითანავას.

5. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ლ. ჯაბუას მიეთითოს.

6. აღინიშნოს ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა და დახმარება ახალსოფლის სკოლა-ინტერნატისადმი. განათლების განყოფილების გამგემ ამხ. მ. ნარმანიამ ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს სკოლა-ინტერნატის დირექციას სასწავლო-აღმზრდელობით და სამეურნეო მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

7. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. თ. ნიკოლაშვილმა) სისტემატური კონტროლი დააწესოს სკოლა-ინტერნატის მუშაობაზე. განათლების განყოფილებასთან ერთად დასახოს ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს მომახსენოს შედეგების შესახებ.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 24 იანვრის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშო სახლების სამმართველოს

მოგსენებითი ბარათი

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის საშ. სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეურნეო მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გასული წლის 11-დან 12 დეკემბრამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადამ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსის თ. ნიკოლაიშვილის (ხელმძღვანელი), სკოლების სამმართველოს ინსპექტორის ე. ქურციკიძის, განათლების სამინისტროს ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის დირექტორის დ. გვალიას, ამავე კაბინეტის მეთოდისტის თ. ხურცილავას, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტის ნ. ვაჩნაძის, თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის დირექტორის ვ. მელაძის, განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტის მ. სხირტლაძის შემადგენლობით ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სკოლა-ინტერნატში შეისწავლა სასწავლო-აღმზრდელობითი და საშეურნეო მუშაობა.

მოგეხსენებათ, რომ გასული წლის ოქტომბერში, ზამთრის პერიოდისათვის სკოლა-ინტერნატების, საბავშო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების მზადების მიმდინარეობის შემოწმებისას, ახალსოფლის სკოლ-ინტერნატში სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა. ამასთან დაკავშირებით, განათლების სამინისტროს 1963 წლის 5 ნოემბრის № 766 ბრძანებაში აღნიშნა, რომ „განსაკუთრებით მოუმზადებელი ხვდება ზამთრის სეზონს ზუგდიდის

რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლა-ინტერნატი, საძინებელი
კორპუსის ირგვლივ აყრილია სარინელი, მოგლეჯილია საწრეტ-
მილები და წვიმის წყალი აზიანებს კედლებსა და საძირკველს. ალაგ-
ალაგ ჩამტვრეულია მინები, ხოლო სარდაფის სარკმელები კი, სა-
თოდ, შეუმინავია, სარდაფში უწესრიგოდ დაყრილი დაზიანებული
ავეჯი ხანძრის საშიშროებას ქმნის. მწყობრიდანაა გამოსული აბა-
ნო. ავარიულ მდგომარეობაშია სამეურნეო კორპუსი, დაზიანებუ-
ლია სახურავი, ზოგან მოხსნილია კარები და ფანჯრის ჩარჩოები.
შენობის ირგვლივ, საქვაბესთან, ფანჯრების პირამდე დაზვავებულია
ქვახაშირის ხამწვავი და სინესტისაგან თითქმის დაშლილია კედ-
ლები. არადანიშნულებისამებრ არის **გამ**ოყენებული სამეურნეო
კორპუსის სათავსოები. მოუვლელი და **დანგრ**ევის პირამდეა მიყვა-
ნილი გათბობის ტრასა, რომელიც ზოგან დაუხურავია, ხოლო გა-
მიშვლებული მილები, შეუფუთავი. ანტისანიტარული მდგომარეო-
ბაა როგორც კვების ბლოკში, ისე მის ირგვლივ, სამზარეულო სავ-
სეა ბუზებით და ა. შ.“ აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნების შემ-
დეგ ზუგდიდის განათლების განყოფილებამ (გამგე ამხ. მ. ნარმანია)
და სკოლა-ინტერნატის დირექციამ (დირექტორი ა. ჭითანავა, დი-
რექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში ლ. ჯა-
ბუა, დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში თ. ბერაძე),
როგორც ჩანს, გიდამჭრელი ზომები მიიღეს **ზემოჩამ**ოთვლილ ნაკ-
ლოვანებათა გამოსასწორებლად, ვინაიდან განათლების სამინის-
ტროს ბრიგადის ახალსოფელში ყოფნის დროს მათი დიდი უმრავ-
ლესობა უკვე გამოსწორებული იყო, ხოლო დანარჩენების აღმო-
საფხვრელად მიმდინარეობდა მუშაობა (სამეურნეო კორპუსის შე-
კეთება და სასადილოს გათბობის სისტემაში ჩართვა).

შემოწმებით დადგინდა, რომ სკოლა-ინტერნატის დირექციას,
მასწავლებლებსა და აღმზრდელებს გარკვეული მუშაობა აქვთ ჩა-
ტარებული აღსაზრდელთა სწავლა-აღზრდის, შრომითი საქმიანობ-
ის, მათი ყოფა-ცხოვრებისა და გართობა-დასვენების ორგანიზაციის
გასაუმჯობესებლად; საძინებელ კორპუსში თითოეული საალმზრ-
დელო ჯგუფისათვის გამოყოფილია დასვენების ოთახები, რომ-
ლებიც დანიშნულებისამებრ არის გამოყენებული. ამავე მიზნითაა
გამოყენებული სიძენებელი კორპუსის ფოიე. აქვე მდებარეობს გა-
სართობი ოთახი, ბიბლიოთეკა. ვ. ი. ლენინის ოთახში თავმოყრილია
წითელ კვალისმაძიებელთა მიერ შეგროვებული ბელადის ცხოვრე-
ბისა და მოღვაწეობის, აგრეთვე ზუგდიდის რაიონის რევოლუციუ-

რი წარსულის ამსახველი დოკუმენტები და ფოტოსურათები. ბავშვთა დასვენებისა და ინდივიდუალური მეცადინეობისათვის გონივრულად არის გამოყენებული სასკოლო კორპუსის დერეფნები, სადაც სპეციალურად ამ დანიშნულებისათვის დადგმულია მაგიდები და სკამები. აღსანიშნავია, რომ ამჯერად სკოლა-ინტერნატის ყველა ობიექტზე სისუფთავე და წესრიგი იყო.. ბავშვების უმრავლესობა გარეგნულად კარგად გამოიყურებოდა — ეცვათ მორგებული და სუფთა ტანსაცმელი. დამაკმაყოფილებელი იყო ახალგაზრდათა პირადი ჰიგიენა. სათანადოდ არის აღჭურვილი ჰიგიენის ოთახი გოგონებისათვის. მოვლილი და დაცულია დგამ-ავეჯი, სახელმძღვანელოები. სწორად ხორციელდება აღსაზრდელთა თვითმომსახურება, ყველა ობიექტზე (საწოლი და საკლასო ოთახები, სასადილო, ეზო) სისუფთავისა და წესრიგისათვის ზრუნვა ბავშვებს ეკისრებათ (ასაკის გათვალისწინებით).

სკოლა-ინტერნატში სისტემატურად ეწყობა შეხვედრები საკოლმეურნეო შრომის მოწინავეებთან და საწარმოო ექსკურსიები მათი შრომითი მიღწევების გასაცნობად. სწორედ ასეთი მუშაობის შედეგია, რომ 1972-1973 სასწავლო წელს 20 კურსდამთავრებულიდან 12 სამუშაოდ დარჩა კოლმეურნეობაში (3 მოეწყო უმაღლეს სასწავლებელში, 5 — ტექნიკუმში). მოსწავლეებს თავიანთი შრომითი მონაწილეობით საკუთარი წვლილიც შეაქვთ ახალსოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თვალსაჩინო წარმატებებში. გასულ წელს მათ მოკრიფეს 45 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, შეაგროვეს 10 ტონა ტუნგოს ნაყოფი, აიღეს 30 ტონა სიმინდი და სხვ.

თვალსაჩინო მიღწევები აქვს მოპოვებული სკოლა-ინტერნატს მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაში. კარგად მუშაობს მოსწავლეთა სიმღერის გუნდი, რომელიც ბავშვთა მეექვსე რესპუბლიკური ოლიმპიადის ლაურეატი იყო. ინდივიდუალურ შემსრულებელთაგან ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდა 24 აღსაზრდელი.

მაგრამ, მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, სკოლა-ინტერნატის მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია, განსაკუთრებით ეს ითქმის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე. ცალკეული საგნების სწავლების შემოწმებით შემდეგი სურათი გამოვლინდა:

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლა-ინტერნატში მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიან მ. ხვიჩია (VI-X კლ) და თ. ბერაძე (IV, V კლ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსმენილი გაკვეთილების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მასწავლებელი მ. ხვიჩია ფლობს საგანს, მაგრამ მისმა მოსწავლეებმა პროგრამული მასალის სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს. მოსწავლეები მტკიცედ ვერ ფლობენ გავლილ მასალას, მეტყველებენ ცუდად, არ იცნობენ ლიტერატურის თეორიას. მერვეკლასელებმა, რომლებიც შემოწმების დღეს შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს" გადიოდნენ, პოემიდან ვერ დაასახელეს ეპითეტის, მეტაფორის და ჰიპერბოლის მაგალითები, თუმცა ამისათვის უმდიდრესი ლიტერატურული მასალა ჰქონდათ შესწავლილი.

ასევე დაბალია გამომეტყველებითი კითხვის დონე IX კლასშიც, სადაც იგივე პედაგოგი ასწავლის. მართალია, მოსწავლეებმა იცოდნენ ლ. არდაზიანის შემოქმედება და ამ მწერლის პუბლიცისტურ მემკვიდრეობასაც იცნობდნენ, მაგრამ მცდარი განმარტება მოგვცეს ისეთი ლიტერატურული მიმდინარეობის შესახებ, როგორიც რომანტიზმია, რაშიაც თვით მასწავლებელს მიუძღვის ბრალი, ვინაიდან რომანტიზმი მან შეცდომით რ. სტერნის შემოქმედებას დაუკავშირა, როდესაც იგი სინამდვილეში სენტიმენტალიზმის ფუძემდებელი იყო.

V კლასში (მასწავლებელი თ. ბერაძე) მოსწავლეებმა გაკვეთილის თემა ი. ჭავჭავაძის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან" იცოდნენ, მაგრამ მასწავლებელმა გაკვეთილი მაინც სერიოზული ხარვეზებით ჩაატარა, კერძოდ: არ გაუმტკიცებია ახალი მასალა, არ გამოუყენებია თვალსაჩინოება, ვერ მოახერხა მთელი კლასის მუშაობაში ჩაბმა, მოსწავლეებს აძლევდა ენობრივად გაუმართავ შეკითხვებს („ვის შენატრდა მეურმე?") ამავე სტილში მისცა საშინაო დავალებაც: „მოსწავლეებო, ეხლა თქვენ ამ ადგილების შინაარსს ისწავლით და საზეპიროები". აღსანიშნავია, რომ შ. ხვიჩია და თ. ბერაძე უყურადღებოდ ეკიდებიან საშინაო დავალების რვეულების წარმოებას. ფორმალურად ამოწმებს წერით დავალებებს, თ. ბერაძე მას მეხუთე კლასის მოსწავლეების მიერ 16/X შესრულებულ დავალებაში — „ვალიკოს ოცნების", რომელიც სულ რაღაც ნახევარი გვერდი ს მოცულობისაა, ვერც ერთი შეცდომა ვერ შეუნიშნავს მაშინ, როდესაც ნაშრომში 25 შეცდომა აღმოჩნდა. იგივე შეიძლება ითქვას საკონტროლო წე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რით ნამუშევრებზეც, რომლებსაც თ. ბერაძე ასწორებს. ისეთი შთაბეჭდილება იქნება, თითქოს მასწავლებელი პუნქტუაციის ელემენტარულ წესებსაც კი არ იცნობს.

ჩვენ ბევრ ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა გვიჩვენა, რომ აღნიშნული სკოლის მოსწავლეებს წერის დაბალი კულტურა გააჩნიათ. მათ უჭირთ წინადადების სინტაქსურად გამართვა, არ იცნობენ შართლწერისა და პუნქტუაციის წესებს. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებმა მ. ხვიჩიამ და თ. ბერაძემ თვითონ შეარჩიეს საწერი თემები, შედეგები მაინც ძალზე ცუდი აღმოჩნდა: V კლასის 28 მოსწავლიდან (მასწ. თ. ბერაძე) „არადამაკმაყოფილებელი" შეფასება დაიმსახურა 23-მა მოსწავლემ, 16 მეათეკლასელიდან (მასწ. მ. ხვიჩია) კი — 11-მა.

სკოლაში სუსტად არის დაყენებული წერითბრივი მუშაობა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში. ლიტერატურული წრე შექმნილია მხოლოდ უფროსკლასელებისათვის. (ხელმძღვანელი მ. ხვიჩია). ლიტერატურის წრეს აქვს სხვა საგნებთან საზიარო კედლის გაზეთი „ცოდნის სამყარო" და მასში წერილები თავსდება ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე (!) გაუგებარია, რატომ?

მასწავლებელ მ. ხვიჩიას გააჩნია საკმაო მომზადება, რათა წარმატებით ასწავლოს საგანი, მაგრამ უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავის მოვალეობას, ნაკლებად ზრუნავს თავისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მის მუშაობას არც დირექცია უწევს სათანადო კონტროლსა და ხელმძღვანელობას. სერიოზული მუშაობა მართებს თავისი თეორიული და პროფესიული ოსტატობის ასამაღლებლად თ. ბერიძესაც.

სკოლა-ინტერნატში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მეთოდური მუშაობის გამოცოცხლება. რომელიც ამჟამად ფაქტიურად ჩამკვდარია. საჭიროა სკოლა-ინტერნატის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა იქვე ან მეტრზე მდებარე საშუალო სკოლის მასწავლებლებთან გაერთიანება. ამასთან ერთად, ორივე მასწავლებელმა უნდა გაიაროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კურსები, მითუმეტეს, რომ მათ ასეთი კურსები გაურკვეველი მიზეზების გამო, ჯერ გავლილი არ აქვთ.

რუსული ენის სწავლება სკოლა-ინტერნატში შემოწმებულ იქნა IV, V, VI კლასებში. ამ ენას „სკოლა-ინტერნატში ასწავლიან

მასწავლებლები: ლამარა რაფავა, ვარდენ ცხადაია, ნათელა კვეკვესკირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. რაფავა, რომელსაც დამთავრებული აქვს სოხუმის პედაგოგიური სასწავლებელი დაწყებითი კლასების სპეციალობით, რუსულ ენას 14 წელზე მეტია ასწავლის II-IV კლასებში. იგი გულდასმით ემზადება გაკვეთილებისათვის, მაგრამ ენის სუსტი ცოდნა ზღუდავს მას, რაც უდაოდ უარყოფით გავლენას ახდენს მის მიერ ჩატარებული გაკვეთილების ხარისხზე. IV კლასში მან კარგად დაიწყო გაკვეთილი, შეამოწმა წერითი საშინაო დავალება. გამოიკითხა მასალა „Твой самый лучший день", ჰკითხა სამ მოსწავლეს. შემდეგ ჩაატარა 5 წუთიანი საუბარი თემაზე „Зима". მაგრამ გრამატიკული მასალა მოსწავლეებს გამოკითხა მხოლოდ ზეპირად, არ გაარჩევინა მათ არც ერთი წინადადება. აღსანიშნავია ისიც, რომ ლ. ხაფავა გამოკითხვის პროცესში მუშაობს მხოლოდ გამოძახებულ მოსწავლეებთან, არ აცლის მათ დასმულ კითხვებზე დამოუკიდებლად პასუხის გაცემას და თავადვე პასუხობს, ახალი მასალა — "На сборе звена" მასწავლებელმა ჯერ წაუკითხა მოსწავლეებს, ხოლო შემდეგ საკონტროლო კითხვების საშუალებით განამტკიცა. ამის შემდეგ ტექსტი რამოდენიმე მოსწავლეს წააკითხა, მაგრამ სალექსიკონო მუშაობა არასწორად წარმართა — ზარის დარეკვამდე 5 წუთი არც კი იყო დარჩენილი, დაფაზე უცხო სიტყვების ჩამოწერა რომ დაიწყო, რა თქმა უნდა, მოსწავლეებმა ვერც კი მოასწრეს მათი გადაწერა, ზარი დაირეკა. აღსანიშნავია ისიც, რომ მეოთხეკლასელებს არა აქვთ რვეულები თემატური და ალფაბეტური ლექსიკონებისათვის. ახალ სიტყვებს ისინი საკლასო-საშინაო რვეულებში იწერენ, რაც ყოვლად დაუშვებელია. ხშირად მასწავლებელი უყურადღებოდ სტოვებს მოსწავლეთა მიერ რუსული მეტყველების დროს დაშვებულ შეცდომებს, ზოგჯერ კი თვითონაც უშვებს უხეშ შეცდომებს: „Чему должен делать пионер?", „Сейчас будем записать новые слова". საკონტროლო წერის ნორმები და სახეები შესრულებულია, მგრამ მოსწავლეთა რვეულებში გაპარულია გაუსწორებელი შეცდომები.

კარგად ფლობს რუსულ ენასა და მისი სწავლების მეთოდებს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1955) ვარდენ ცხადაია. მეხუთე კლასის მოსწავლეებმა კარგად იცოდნენ გაკვეთილი „Девочка с персиками". მასწავლებელმა ჯერ კარგად მოფიქრებული კითხვების საშუალებ-

ით შეამოწმა კლასის ცოდნა, შემდეგ მათ ვ. სეროვის ცნობილი სურათიც — „Девочка с персиками" გააცნო, რომლის შესახებ ისტორიასაც მიუძღვნა შესასწავლად მიცემული მოთხრობა. მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად ფლობენ სასაუბრო ენას, რაც მასწავლებლის სერიოზულ მუშაობაზე მიუთითებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად ახსნა მასწავლებელმა ახალი მასალა — „Два товарища". გააანალიზა იგავ-არაკის დედააზრი. გზადაგზა მოსწავლეებს ზეპირად (დაფის გამოყენებით) განუმარტა უცნობი სიტყვების მნიშვნელობა, გამოიყენა თვალსაჩინოება. გაკვეთილის ახსნის შემდეგ გამომეტყველებით წაიკითხა იგავ-არაკის ტექსტი. ამის შემდეგ მოსწავლეები ავარჯიშა ტექსტის გამომეტყველებით კითხვაზე და ცალკე სიტყვების სწორად წარმოთქმაზე. მაგრამ ვ. ცხადაია, ისევე როგორც დ. რაფავა, სათანადო ყურადღებას არ აქცევს სალექსიკონო მუშაობას, მანაც გაკვეთილის მიწურულს სახელდახელოდ ახსნილი რამდენიმე სიტყვა ჩააწერინა მოსწავლეებს საკლასო-საშინაო რვეულებში. საკლასო-საშინაო რვეულებს მასწავლებელი პერიოდულად ამოწმებს. საკონტროლო წერის სახეები დაცულია.

შესანიშნავად ფლობს რუსულ ენას ნათელა კვეკვესკირი, დამთავრებული აქვს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სასაუბრო ენის განვითარებას. შემდეგ პერიოდში VI კლასს გაკვეთილად ჰქონდა „На экзамене". ვიდრე კლასი გაკვეთილის გამოკითხვაზე გადავიდოდა მასწავლებელმა კარგად გააზრებული კითხვებისა და პუშკინის ახლობლების სურათების გამოყენებით აამბობინა მოსწავლეებს ყველაფერი, რაც მათ პოეტის ბავშვობის შესახებ იცოდნენ. შემდეგ გაკვეთილის ტექსტი 6 მოსწავლეს წააკითხა, რეპინის ცნობილი სურათი — „Пушкин на лицейском экзамене" მოიშველია და მთელი კლასი ჩააბა მუშაობაში. ასევე საინტერესოდ იქნა ახსნილი ახალი მასალაც. მასწავლებელს დაცული აქვს საკონტროლო წერის ნორმები და სახეები, ის პერიოდულად ამოწმებს საკლასო-საშინაო რვეულებს. რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებას სერიოზულად უშლის ხელს ის გარემოება, რომ სკოლა-ინტერნატში ნაკლებად აქვთ თვალსაჩინოება და ტექნიკური საშუალებები (გრამფირფიტები, მაგნიტური ჩანაწერები, დიაფილმები, დიაპოზიტივები, სურათები და ა. შ.).

დამაკმაყოფილებლად მუშაობს რუსული ენის გამომეტყველებითი კითხვის წრე, რომელსაც ვ. ცხადია ხელმძღვანელობს.

წრეს აქვს სამუშაო გეგმა. უკვე ჩატარებულია რამდენიმე მეცადინეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლაში არ არის ჩამოყალიბებული რუსული ენის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება. ისინი გაერთიანებული არიან რაიონის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებაში, რომელსაც სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი ვ. ცხადაია ხელმძღვანელობს.

მეტად დაბალ დონეზე ისწავლება სკოლა-ინტერნატში ისტორია და საზოგადოებათმცოდნეობა. ამ საგნებს V-X კლასებში ძირითადად ლ. ბენდელიანი ასწავლის. სხვადასხვა კლასების მიერ ჩატარებული გაკვეთილების მოსმენით დადგინდა, რომ ეს მასწავლებელი სრული უპასუხისმგებლობით ეკიდება ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებას, რომლებსაც ახალგაზრდა თაობის მეცნიერული მსოფლმხედველობით შეიარაღებისა და კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. მეტად სუსტი თეორიული მომზადების გამო, მასწავლებელი ხშირად უშვებს უხეშ თეორიული ხასიათის შეცდომებს. ზოგჯერ მის მიერ წარმოთქმული წინადადებიდან რაიმე აზრის გამოტანაც კი შეუძლებელი ხდება. რა თქმა უნდა, გაკვეთილების ასეთი თეორიული დონის დროს შეუძლებელია რაიმე დადებითის ან უარყოფითის თქმა მათი მეთოდური მხარის შესახებ.

VII[1] კლასში მოსწავლეებს გამოსაკითხად მიცემული ჰქონდათ თემა — „მონღოლ-თათართა შემოსევის დასაწყისი, შუა აზიისა და ამიერკავკასიის ხალხების ბრძოლა მონღოლ-თათარი დამპყრობლების წინააღმდეგ“. გამოძახებულ სამი მოსწავლიდან (სამთავე თავიდან ბოლომდე მოყვა გაკვეთილს) ვერცერთმა ვერ შეძლო საფუძვლიანად დაეხასიათებინა ის სოციალურ-ეკონომიური ძვრები, რომლებმაც ერთის მხრივ ცენტრალურ აზიაში ხელი შეუწყო მონღოლთა დაქსაქსული ტომების ერთ მძლავრ სახელმწიფოდ გაერთიანებას, ხოლო მეორე მხრივ — შუა აზიისა და ამიერკავკასიის მძლავრი ფეოდალური სახელმწიფოების დაუძლურება-დაქუცმაცების პროცესს. გზადაგზა მასწავლებელი გამოძახებულ მოსწავლეებს გავლილი მასალიდან უსისტემოდ აძლევდა კითხვებს, ზოგჯერ კი აშკარად მცდარს, ასე მაგალითად, „ვინ აჯანყდა აზერბაიჯანში VII საუკუნეში“? (ალბათ მასწავლებელი აქ გულისხმობდა ბაბეკის აჯანყებას, რომელიც დაიწყო არა VII საუკუნეში, არამედ IX საუკუნეში, 816 წელს), „რა შედეგი მოჰყვა რუსეთში მონგოლ-თათართა შე-

მოსევას?", „აი, როდესაც მონღოლ-თათრები რუსეთში ბატონობდ-ნენ, რუს მეომრებს რა ჰქონდათ მიზნად დასახული?" ბუნებრივია, ამ კითხვებზე მოსწავლეები პასუხს ვერ გასცემდნენ, რადგან "ხალხის ბრძოლა თათარ-მონღოლთა შემოსევის წინააღმდეგ" იმ დღეს უნდა ეკითხა. ახალი მასალის ახსნის პროცესში მასწავლებელი უშვებდა უხეშ შეცდომებს და მოჰყავდა ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტები. აქის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. „რუსეთის (კიევის რუსეთი ამ დროს დაქუცმაცებული იყო ცალკეულ სამთავროებად) ძირითადი ამოცანა იყო, არ მიეცა მონღოლებისათვის რუსეთის ცენტრში შემოჭრის საშუალება". რუსეთის მთავრობამ (გასაგები მიზეზების გამო იმ დროს ასეთი მთავრობა არ არსებობდა) დახმარებისათვის მიმართა ყივჩაღებს (პირიქით, კალკის ბრძოლამდე ყივჩაღებმ ა დახმარებისათვის რუს მთავრებს მიმართეს). „რუსეთმა დაიწყო შეტევითი მოქმედება და მათ არ უნდოდათ მონგოლების დაშვება", „მონგოლების მთავარი მიზანი იყო რიაზანის ანუ ვლადიმირის სამთავროების ხელში ჩაგდება". იქვე კი სწორად აღნიშნა, რომ ვლადიმირის სამთავრო არ დაეხმარა რიაზანის სამთავროს მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორედ ამას ჰქვია „ერთი ალთას, მეორე ბალთასაო", შემდეგ კი ისევ უხეში შეცდომა — „მათ გადაწვეს რუსეთის დედაქალაქი მოსკოვი" და ა. შ. აღსანიშნავია ისიც, რომ VII კლასში როგორც გამოკითხვა, ისე ახალი მასალის ახსნა მიმდინარეობდა ყოველგვარი თვალსაჩინოების, მათ შორის რუკის, ამოყენების გარეშე. დაახლოებით ასეთივე სტილში წარიმართა ისტორიის გაკვეთილი IX კლასში. ისტორიის გაკვეთილზე დასწრე 16 მოსწავლიდან გაკვეთილი — „აკანყება ჯავშნოსან პოტიომკინზე", „ბულიგინის სათათბირო" ასე თუ ისე მხოლოდ ორმა მოსწავლემ იცოდა, მაგრამ მათაც ვერ განმარტეს თუ რამ გამოიწვია რევოლუციური აღმავლობის გაძლიერება არმიაში, ან რატომ გამოუცხადეს ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტი ბოლშევიკებმა. როგორც ახალი მასალის — „რევოლუციის აღმავლობა 1905 წლის შემოდგომაზე" ახსნიდან ჩანს, მასწავლებელი თავად არ იყო გარკვეული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მიზნებსა და ამოცანებში, სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვის როლზე 1905 წლის რევოლუციურ ამბებში. მისი აზრით, „ოქტომბრის პოლიტიკური გაფიცვს მიზანი იყო გაფიცვების, რევოლუციების გაძლიერება", ხოლო რევოლუციისა" — არ მიეცა თვითმპყრობელობისათვის ხელში ჩაეგდო ძალაუფლება". (?!).

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ადვილი წარმოსადგენი იქნება თუ ცოდნის რა დონე ექნებათ მოსწავლეებს. აქვე გვინდა დავსძინოთ, რომ მეცხრეკლასელთა უმრავლესობა ვერ ახერხებს რუკაზე მხარეების გაგნებას, ვინაიდან როგორც გამოკითხვის, ისე ახალი მასალის ახსნის დროს რუკას, როგორც წესი, სკოლა-ინტერნატში არ იყენებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსტი ცოდნა გამოავლინეს მეათეკლასელებმა საზოგადოებათმცოდნეობაში. მათ ვერ განმარტეს, თუ სახალხო მეურნეობის განვითარების დაგეგმვა რატომ არის სოციალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უპირატესობა კაპიტალიზმთან შედარებით და რატომ ეღება ბოლო მეურნეობის **გეგმაზომიერი** წარმოების დროს წარმოების ანარქიის დამანგრეველ მოქმედებას, ეკონომიურ კრიზისებს. უფრო მეტი, მოსწავლეებმა არ იციან, როგორ ხდება გეგმის შედგენა ამა თუ იმ წარმოებაში, რა თქმა უნდა, მასწავლებლის მონდომების შემთხვევაში ამ საკითხს მოსწავლეები ადვილად გაეცნობოდნენ იქვე, მეზობელი კოლმეურნეობის მაგალითზე. ყოველგვარი თანამიმდევრობის, ლოგიკური მსჯელობის გარეშე იქნა ახსნილი ახალი თემა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა სოციალიზმის დროს, რის გამოც მოსწავლეებმა ვერ გაიგეს, რატომ აქვს ადგილი სასაქონლო წარმოებას სოციალიზმის დროს ან როგორ მოქმედებს ღირებულების კანონი ჩვენ საზოგადოებაში და ა. შ.

კარგად ფლობს საგანს და სავსებით დამაკმაყოფილებლად ასწავლის ისტორიას IV კლასში ვ. ჯიქია. მის მიერ ჩატარებულმა გაკვეთილმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა; მასწავლებელი **აქტიურად** აბამს მუშაობაში მთელ კლასს, ახერხებს **მოსწავლეთა ყურადღ**ების გამაწვილებას თემის საკვანძო საკითხებზე. მისმა მოსწავლეებმა არა მარტო მშვენივრად დაახასიათეს ბატონყმობისდროინდელი რუსეთის სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა, არამედ დაასაბუთეს ბატონყმობის მოსპობის აუცილებლობაც და ისიც გაარკვიეს, თუ რატომ მოხდა ყმა გლეხების „ზემოდან" განთავისუფლება. ყურადღება გაამახვილეს ბატონყმობის გადავარდნის პროგრესულ მნიშვნელობაზეც და რუსეთის შემდგომ განვითარებაში ამ ისტორიული მოვლენის დადებით როლზე. მთელი გაკვეთილის მანძილზე კლასში არ შეწყვეტილა დაძაბული, მაგრამ მეტად საინტერესო მუშაობა, რომელშიც თავიდან ბოლომდე მეტად აქტიურ მონაწილეობას იღებდა უკლებლივ ყველა მეოთხეკლასელი.

ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მაღალ დონეზე

სწავლებას სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის ის გარემოებაც, რომ სკოლა-ინტერნატში დიდი რაოდენობით აკლიათ თემატური ტუკები, დიაგრამები, ილუსტრაციები, ალბომები, სქემები. მათ შესაბამისად კი თავს არავინ იწუხებს. მოუგვარებელია ისტორიის გაკვეთილებზე კინოფილმების, დიაპოზიტივების, დიაფილმების, გრამფირფიტების გამოყენების საქმეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაშლილია მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობა, მაშინ როდესაც მისი გაცხოველების აუცილებლობა ზემომოყვანილი ფაქტებიდანაც კი კარგად ჩანს.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება სკოლა-ინტერნატში მათემატიკა. ამ საგანს აქ ორი მასწავლებელი—გიული ქოჩუა და ეთერ ჯოჯუა ასწავლიან. ორივე მასწავლებელი ფლობს საგანს, მაგრამ ჯერ კიდევ სათანადო პასუხისმგებლობით და მონდომებით არ ეკიდება საგნის სწავლებას. შემოწმებით დადგინდა, რომ ეს მასწავლებლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მათემატიკის სწავლების მეთოდურ მხარეს. სწორედ ამით აიხსნება, რომ ისინი მაქსიმალურად ვერ იყენებენ გაკვეთილის ყველა მომენტს; გამოკითხვის დროს მთელი ყურადღება გადატანილია დაფასთან გამოძახებულ მოსწავლეებზე. დანარჩენები კი ამ დროს საკუთარი თავის ანაბარა არიან მიტოვებულნი, უგულებელყოფილია დამოუკიდებელი მუშაობა, საშინაო დავალების რვეულებს მასწავლებლები, როგორც „წესი, არ ასწორებენ, ამიტომ რვეულები სავსეა გაუსწორებელი შეცდომებით. იგივე ითქმის საკონტროლო წერის რვეულებზეც. ერთფეროვანი, და, რაც მთავარია, ცუდად არის შერჩეული საწერი თემებიც

IX და X კლასებში, სადაც მათემატიკას გ. ქოჩუა ასწავლის, მოსწავლეებმა გეომეტრიაში დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს. მაგალითად, მეათეკლასელებმა არ იციან თუ პრიზმაში რამდენი დიაგონალის გავლება შეიძლება, ვერც ბრტყელი კუთხეების რაოდენობა დათვალეს პრიზმასა და პირამიდაში. გაკვეთილებზე მოსწავლეები ვარჯიშობენ ელემენტარული ამოცანების ამოხსნაზე და მათ არც ამოცანების ამოხსნის ტექნიკა უვარგათ, VI და VIII კლასებში ალგებრაში ჩატარებულ იქნა საკონტროლო წერები, საკმაოდ მარტივი მაგალითები შერჩეულ იქნა ძ. ქოჩუას მიერ ადრე ჩატარებული საკონტროლო წერებიდან ,ორ ვარიანტად. საილუსტრაციოდ მოგვყავს VIII კლასში მიცემული მაგალითების ორივე ვარიანტი:

I ვარიანტი

1. $\frac{(x+3)^2}{5}+1-\frac{(3-1)^{20}}{5}=\frac{x(2x-3)}{2}$

2. $\frac{1}{x-2}-\frac{1}{x+4}=\frac{1}{x+3}=\frac{1}{x+1}$

II ვარიანტი

1. $\frac{8}{x^2-4}-\frac{8}{x^2-1}=\frac{2}{x^2-3x+2}-\frac{30}{x^2+3x+2}$

2. $x+\frac{1}{x}=a+\frac{1}{a}$

მიუხედავად იმისა, რომ ეს ამოცანები მერვეკლასელებს საკონტროლო წერის დროს უკვე ამოხსნილი ჰქონდათ, 26 მოსწავლიდან ერთმა მიიღო ნიშანი „3“, თხუთმეტმა — „2“, ათმა მოსწავლემ — „1“, მაშინ როდესაც მასწავლებელმა ამავე მაგალითებზე ჩატარებულ საკონტროლო წერაში სამ მოსწავლეს დაუწერა — „5“, ექვსს — „4“, თორმეტს — „3“, ოთხს — „2“, (?!). ვფიქრობთ, აქ კომენტარები ზედმეტია.

მექვსე კლასში ამავე წესით ჩატარებულმა საკონტროლო წერამ შემდეგი სურათი მოგვცა: 39 მოსწავლიდან საკონტროლო სამუშაო შეასრულა 25 მოსწავლემ (14 არ ესწრებოდა გაკვეთილს). მათგან ათმა ნიშანი „3“ დაიმსახურა, დანარჩენმა თხუთმეტმა კი — „2“ და „1“.

ასეთივე დაბალი ცოდნა აქვთ IV და VII კლასების მოსწავლეებს, რომლებსაც მათემატიკას ვ. ჯოჯუა ასწავლის. მაგალითად, მეშვიდეკლასელებმა არ იცოდნენ, „რას ეწოდება სამკუთხედში სიმაღლე, წარმოდგენა არა აქვთ სამკუთხედში ოთხი შესანიშნავი წერტილის შესახებ და სხვ. გაკვეთილზე ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ამოცანის ტექსტის შესწავლის საქმეს და არც მასწავლებელი აკეთებს სათანადო დასკვნებს მისი ამოხსნის დროს. აღსანიშნავია ისიც, რომ გ. ჯოჯუა, რომელსაც VI კლასში შეთავსებული აქვს ფიზიკის საათები, მეტად დაბალ დონეზე ასწავლის ამ საგანს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ორივე მასწავლებელი სისტემატურად არ ასწორებს მოსწავლეთა საშინაო თუ საკონტროლო ნამუშევრებს, ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ისინი არ ამუშავებენ

მოსწავლეებს დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე და მათ ცოდნაში არსებული ხარვეზების დასადგენად არ ახდენენ საკონ-ტროლო წერის შედეგების ანალიზს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საკონტროლო წერები ვალის მოხდის მიზნით ტარდებოდა ლაში არ არის შექმნილი მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანება. სკოლის დირექცია სათანადო კონტროლს და ხელმ-ძღვანელობას არ უწევს მათემატიკის მასწავლებელთა მუშაობას, ნაკლებად ზრუნავს მათი თეორიული დონის ამაღლებისა და პრო-ფესიული დაოსტატებისათვის. ამის შედეგად, მოსწავლეთა ცოდ-ნის დონე მათემატიკურ საგნებში მოუთმენლად დაბალია.

საკმაოდ დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს ქიმიაში მეათე კლა-სის მოსწავლეებმა, რომლებსაც ჯერ სკოლა-ინტერნატის დი-რექტორი ა. ჭითანავა ასწავლიდა, ხოლო დეკემბრიდან მაყვალა კარტოზია. მასწავლებელი ზედმეტად აქტიურობს გაკვეთილზე, გა-მოძახებულ მოსწავლეებს არ აცდის დასმულ კითხვაზე პასუხის გა-ცემას და თვითვე პასუხობს. ასევე ნაკლებად ცდილობს მუშაობაში მთელი კლასის ჩაბმას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გაკვეთილის ეფექტურობას. ახალი მასალა — ბუტადიენ სტიროლის კაუჩუკი" მასწავლებელმა დამაკმაყოფილებლად ახსნა, მაგრამ ახსნის პროცეს-ში მთელ რიგ საკითხებს სათანადო სიღრმით არ შეეხო. მაგალითად, სათანადოდ არ გაამახვილა ყურადღება კაუჩუკის ლენტჩამომსხმე-ლი მანქანის აგებულებაზე და ა. შ. სკოლა-ინტერნატს საკმაოდ კარგად აღჭურვილი ქიმიის კაბინეტი გააჩნია, მაგრამ მას არა აქვს ამწოვი კარადა, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის პროგრამით გათვალისწინებული მთელი რიგი ცდების ჩატარებას. კაბინეტში დაცულია ხელსაწყო-იარაღებისა და ქიმიური რეაქტი-ვების შენახვის წესი, მაგრამ დადგენილი წესის მიხედვით არ ხდე-ბა დახარჯული მასალების (სპირტის, მჟავეებისა და სხვა რეაქტი-ვების) ჩამოწერა. კაბინეტი ღარიბია სწავლების ტექნიკური საშუა-ლებებით: არა აქვთ ტელევიზორი, კინოაპარატი, ფილმოსკოპი, საპროექციო ფარანი. აქვე გამოკრული არ არის ქიმიაში კლასგა-რეშე საკითხავი ლიტერატურის სია და ტელეგაკვეთილების განრი-გი. სკოლა-ინტერნატში შექმნილია ქიმიის საგნობრივი წრე. მაგრამ წრის სამუშაო გეგმაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა თვითნა-კეთი ხელსაწყოების დამზადებას. ექსპერიმენტულ ამოცანებზე ვარ-ჯიშს, ათეისტური ხასიათის დილა-საღამოების ჩატარებასა და სხვა.

უყურადღებოდაა მიტოვებული მეთოდური მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატში ბიოლოგიას იგივე მასწავლებელი ასწავლის. მ. კარტოზია დაუფლებულია საგანს და მის მოსწავლეებსაც საკმაოდ კარგი ცოდნა აქვთ. მაგრამ საგნის სწავლების პროგრამული მასწავლებელი თვალსაჩინოების გამოყენებას ჯერ კიდევ არ აქცევს სათანადო ყურადღებას. მაგალითად, V კლასში, ახალი გაკვეთილის — „ფესვის შინაგანი აგებულების" ახსნისას, მასწავლებელს არ გამოუყენებია არავითარი თვალსაჩინოება, თუ არ ჩავთვლით დაფაზე მის მიერ შესრულებულ ნახაზს, რომელიც გამოსახავდა ფესვის ზრდის ზონებს. ეს იმ დროს, როდესაც ბიოლოგიის კაბინეტში აქვთ 15 მიკროსკოპი და წინასწარ დამზადებული პრეპარატების საშუალებით თვალსაჩინოდ შეიძლებოდა აგვეხსნა მოსწავლეებისათვის ეს საკითხი.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ბიოლოგიის კაბინეტი საკმაოდ კარგ მთაბეჭდილებას სტოვებს. ფანჯრებზე მოწყობილია დაბნელება, ტაბულები და სურათები დალაგებულია სხვადასხვა დისციპლინების მიხედვით და მოვლილია. დიდი რაოდენობით აქვთ მწვანე მცენარეულობა. კაბინეტი კარგადაა აღჭურვილი სწავლების ტექნიკური საშუალებებითაც (კინოაპარატი, ეპიდიასკოპი, ფილმოსკოპი და სხვ). მოვლილი და დამუშავებულია სასკოლო ნაკვეთი, სადაც მოსწავლეები სათანადო დაკვირვებებს აწარმოებენ სხვადასხვა ჯიშის მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე.

კარგად მუშაობს ნორჩ ნატურალისტთა წრე. სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხები და წაკითხული მოხსენებები ეხება ბიოლოგიის აქტუალურ საკითხებს. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ კარგად არის შერწყმული თეორიული და პრაქტიკული საკითხები.

ნაკლოვანებებია საალმზრდელო მუშაობაში. აღმზრდელები, მეოთხედური სამუშაო გეგმის შედგენისას, არ ითვალისწინებენ პროგრამულ მოთხოვნებს, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ბავშვთა კოლექტივის განვითარების დონეს, მათ ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს. გეგმები კოორდინირებული არ არის სკოლა-ინტერნატის წლიურ, კლასის ხელმძღვანელების, პიონერული რაზმებისა და კლასების კომკავშირული ორგანიზაციების სამუშაო გეგმებთან. მაგალითად, პიონერული ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა: ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოს ჩატარება, სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა ბიოგრაფიული ცნობების შევსება და ალბომების შედგენა, ლაშქრობა რუხის ციხეზე, მდმოწერა ტალალაევკის, ჩერნიგო-

ვის, უზბეკეთისა და უკრაინის სსრ პიონერებთან ასახვას არ პოულობენ აღმზრდელთა მეოთხედურ სამუშაო გეგმებში. დაგეგმილ საკითხთა უმრავლესობა ძირითადად სხვადასხვა საკითხზე საუბრების ჩატარებას ითვალისწინებს და ხელს ვერ უწყობს აღსაზრდელთა შემოქმედებითი ძალების განვითარებას; VII კლასში აღმზრდელთა II მეოთხედის სამუშაო გეგმის (აღმზრდელები ჯიქია, დ. ქადარია) თავში — „იდეურ-პოლიტიკური აღზრდა" 7 დაგეგმილი ღონისძიებიდან ექვსში აღმზრდელთა საუბარია გათვალისწინებული. ამასთან ერთად, დაგეგმილი ღონისძიებები ზოგად ხასიათს ატარებენ; განსაკუთრებით ეს ითქმის II, III, IX სააღმზრდელო ჯგუფებზე (აღმზრდელები: ვ. კოზუა, ვ. ქირია, რ. შამუგია, შ. ჯანაშია, ლ. ქახთარია). ჩამოთვლილი საკითხებიდან ხშირად შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა უნდა გაკეთდეს კონკრეტულად, ვის მიერ და როდის („ყურადღების გამახვილება მუსიკაზე, მხატვრობაზე, ჩაცმაზე", „მშრომელთა პროფესიების გაცნობა" და სხვ). ნაცვლად ზუსტი ვადებისა, გეგმებში ჩაწერილია — „სისტემატურად", „მეოთხედის მანძილზე", „10/VI-დან 31/XII-მდე". კონკრეტულობის თვალსაზრისით უკეთ არის შედგენილი I სააღმზრდელო ჯგუფის მეოთხედური სამუშაო გეგმა (აღმზრდელები მ. ჯაბუა, ე. კიცია), თუმცა აქაც საუბრებს დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ვინაიდან ყოველდღიურად არ წარმოებს აღსაზრდელთა მიმდინარე აკადემიური მოსწრების აღრიცხვა, ზოგადად იგეგმება საშინაო დავალებების შესრულებისათვის განკუთვნილი დრო, რის გამოც შეუძლებელი ხდება საშინაო დავალებებზე მუშაობის სწორი დაგეგმვა და ორგანიზაცია. საერთოდ, სააღმზრდელო ჯგუფებში თვითმომზადებაზე დასწრებამ და ჟურნალების წარმოების მდგომარეობის შემოწმებამ დაგვანახვა, რომ აღმზრდელები ან ყოველდღიურად არ აღრიცხავენ აღსაზრდელთა მიმდინარე აკადემიურ მოსწრებას, ან, თუ აღრიცხავენ, მხედველობაში არ იღებენ მოსწავლეთა მიერ მიღებულ ნიშნებს და საშინაო დავალებებზე მუშაობის პერიოდში არ ითვალისწინებენ, ვის რომელ საგანში სჭირდება დახმარების აღმოჩენა. თვითმომზადების არამიზნობრივად და პედაგოგიურად არასწორად წარმართვა ძირითადად გაპირობებულია აღმზრდელთა სუსტი მუშაობით, აგრეთვე დირექციის მხრივ უკონტროლობისა და მასწავლებელთა და აღმზრდელთა შეუთანხმებელი მუშაობით. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ I სააღმზრდელო ჯგუფში (აღმზრდელები ე. კიტია, მ. ჯაბუა) აკადემიურად ჩამორჩენილ მოს-

წავლეებთან მუშაობის მაგალითი. მოსწავლე ფირ-ანს I მეოთხედში რამდენიმე საგანში არადამაკმაყოფილებელი ნიშნები ჰქონდა, ფიქრობს აღმზრდელებსა და მასწავლებლებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციათ ამ მოსწავლისათვის, მაგრამ შემოწმებით დადგინდა, რომ აღმზრდელებს და მასწავლებელს მისთვის თავი არ შეუწუხებიათ; მასწავლებელი ეთ. ყურაშვილს მეოთხედის მანძილზე ფრიადოსანი მოსწავლეები მათემატიკაში 7-8-ჯერ გამოუძახია, აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლე კი მხოლოდ ორჯერ და ორივეჯერ არადამაკმაყოფილებელი ნიშანი დაუწერია. V საალმზრდელო ჯგუფში (აღმზრდელები ზ. გეთია და ნ. ჩარტია) აღმზრდელმა ზ. გეთიამ მოსწავლეებს დროულად დააწყებინა მოსამზადებელი მუშაობა საშინაო დავალებების მოსამზადებლად, უზრუნველყო თითოეული მათგანი საჭირო სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით, მაგრამ ეს იყო ეს; ეტყობოდა აღმზრდელმა არ იცოდა, თუ რა დავალებები ჰქონდა შესასრულებელი მოსწავლეებს მეორე დღისათვის და მთელი მისი დახმარება შემოიფარგლა მხოლოდ და მხოლოდ მერხებს შორის სიარულით.

ყოვლად დაუშვებელია, როდესაც სისტემატურად არ სრულდება გეგმით გათვალისწინებული საკითხები; მაგალითად, VII საალმზრდელო ჯგუფში (აღმზრდელები დ. ქადარია, ფ. ჯიქია) 26 სექტემბერს უნდა ჩატარებულიყო ექსკურსია ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ძუზეუმში, 5 ოქტომბერს საუბარი და პრაქტიკული მეცადინეობა — „როგორ მოვიქცეთ სტუმრად ყოფნის დროს", IX საალმზრდელო ჯგუფში 17 ოქტომბერს — შეხვედრა სოციალისტური შრომის გმირებთან, ხოლო პირველი მეოთხედის ბოლოს კრება — I მეოთხედის შედეგები და მეორის ამოცანები, X საალმზრდელო ჯგუფში (აღმზრდელი ბ. დარასელია) 8 დეკემბერს — ექსკურსია ენგურჰესის მშენებლობაზე და სხვა. ზემოდასახელებული საკითხებიდან არცერთი არ ჩატარებულა. აღმზრდელთა მოვალეობისადმი ასეთი დამოკიდებულება, უპირველეს ყოვლისა, ავტორიტეტს ულახავს მოსწავლეთა თვალში თვით მათ, ხოლო მეორე მხრივ ძირს უთხრის აღმზრდელობით ღონისძიებათა ქმედითუნარიანობას.

რაც მთავარია, სკოლა-ინტერნატის აღმზრდელთა მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა უმრავლესობა არ ატარებს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური წრთობის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი მათი შეურიგებლობის, სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებისა და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდისათვის მიზანმი-

მართულ ხასიათს. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ მიუხედავად განათლების სამინისტროს მითითებისა „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის სკკპ XXIV ყრილობის მასალების გაცნობის შესახებ“ მასწავლებლები და აღმზრდელები პარტიის XXIV ყრილობის მასალების შესწავლის საქმეს ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ უთმობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედარებით კარგად არის დაყენებული მეთოდური მუშაობა აღმზრდელთა შორის. შექმნილია კლასის ხელმძღვანელთა და აღმზრდელთა მეთოდგაერთიანებები I-III (ხელმძღვანელი თ. ბერაძე-დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში) და IV-X კლასებისათვის (ხელმძღვანელი ლ. ჯაბუა — დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში). მეთოდგაერთიანებები მუშაობენ დირექტორის მიერ დამტკიცებული ნახევარწლიური სამუშაო გეგმის მიხედვით. თემები ისეა შერჩეული, რომ აღმზრდელს პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიოს მუშაობაში: „როგორ ვხელმძღვანელობ საშინაო დავალებაზე მუშაობას IX კლასში“, „მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდის ჩვენი პრაქტიკა“ (VII კლ.), „როგორ ვზრდი ჰუმანიზმისა და ხალხთა მეგობრობის გრძნობას ჩემს აღსაზრდელებში“ (IV კლ.) და ა. შ. მეთოდგაერთიანების სხდომებზე წაკითხული თემები თავისი შინაარსით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ აღმზრდელები პრაქტიკულ საქმიანობაში ნაკლებად იყენებენ მეთოდგაერთიანებებში მიღებულ ცოდნასა და რეკომენდაციებს.

სკოლა-ინტერნატში შესაცვლელია აღმზრდელთა მუშაობის განრიგი. არსებული განრიგით აღმზრდელთა მუშაობა სააღმზრდელო ჯგუფებში ყოველდღიურად იცვლება, მაშინ როდესაც აღზრდის პროცესის ყველა ეტაპზე ერთიანი მიდგომის განხორციელებისა და სამუშაოს შესრულებაში პასუხისმგებლობის განმტკიცებისათვის აუცილებელია ერთი მეოთხედის განმავლობაში, როგორც წესი, დღის I ნახევარში ჯგუფთან მუშაობდეს ერთი აღმზრდელი, ხოლო დღის მეორე ნახევარში — მეორე.

კეთილსინდისიერად ეკიდება თავის მოვალეობას უფროსი პიონერხელმძღვანელი ს. მოსია, ამიტომაც სკოლა-ინტერნატში პიონერული მუშაობა სისხლსავსე ცხოვრებით მიმდინარეობს. ბავშვები დაინტერესებული არიან პიონერული ორგანიზაციის საქმიანობით და ყოველ დავალებას ხალისითა და მონდომებით ასრულებენ. სკოლა-ინტერნატის პიონერული რაზმიული მონაწილეობს საკავშირო

პიონერულ მარშში: თითოეულ რაზმს აღებული აქვს ვალდებულებანი მარშრუტების მიხედვით. გამოდის სკოლის პიონერული ორგანიზაციის ყედლის გაზეთი „მეგობრობა". ასევე, თითოეულ რაზმში ყოველთვიურად უშვებს თავის გაზეთს, სადაც ასახულია მისი ცხოვრება საკავშირო პიონერული მარშის გზებზე. რაზმებს შორის გაშლილია შეჯიბრი დევიზით — „ვისი რაზმია უკეთესი". მიუხედავად პიონერულ მუშაობაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებისა, პიონერული ორგანიზაცია ჯერ კიდევ სუსტად იბრძვის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ასამაღლებლად. ამის დამადასტურებელად, ვფიქრობთ, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ I მეოთხედში 176 პიოსერიდან ვერ ასწრებდა — 22. მართალია, აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა დასახმარებლად რაზმეულთან შექმნილია „სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი" და სხვა ღონისძიებებიც ტარდება, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ ქმედითუნარიანობა აკლიათ. ოქტომბრელებთან მუშაობს „ოქტომბრელთა მეგობრობის საბჭო". ამჟამად ოქტომბრელებთან განსხვავებული მუშაობა წარმოებს პიონერთა რაზმებთან ოქტომბრელთა ჯგუფების შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

სკოლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ნიადაგ სახმარ დოკუმენტს წლიური საშუშაო გეგმა წარმოადგენს. მის ავკარგიანობაზე ბევრად არის დაშოკიდებული სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგიური კოლექტივის მთელი საქმიანობა. მისი გათვალისწინებით, პედაგოგიური კოლექტივის თითოეული წევრი გეგმავს თავის მუშაობას, ამიტომაც რესპუბლიკის მოწინავე სკოლებში წლიური გეგმის შედგენას განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებიან, მასში მონაწილეობს სკოლის უკლებლივ ყველა თანამშრომელი და იგი ჭეშმარიტად კოლექტიური აზრის ნაყოფს წარმოადგენს. მაგრამ, ახალსოფლის სკოლა-ინტერნატის საშუშაო გეგმისათვის თვალის ერთი გადავლებაც კი საკმარისია საწინააღმდეგო თვალსაზრისზე დადგომისათვის: ჯერ ერთი, მიმდინარე სასწავლო წლის საშუშაო გეგმის შესავალი სიტყვა-სიტყვით გასული წლის სამუშაო გეგმიდან არის გადაწერილი, მეორე, გეგმაში შეტანილი საკითხები არ არის დალაგებული თავისი შინაარსისა და დანიშნულების მიხედვით. მაგალითად, თავში — „აღმზრდელობითი მუშაობა" შეტანილია ისეთი საკითხი („დაწყებით კლასებში დედაენის, მაღალ კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ისტორიის, ხატვა-ხაზვისა და სხვა საგნების სწავლების დონის მიმდინარეობის

შესწავლა და შედეგების განხილვა პედაგოგიური საბჭოს სხდომ-ზე"), რომელსაც მასთან არავითარი კავშირი არა აქვს, თავში — „მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვა და ფიზიკური აღზრდა" ჩაწერილია შემდეგი საკითხები: „მოეწყოს ექსკურსია სათანადო კომპლექსური თემატიკით — ისტორია, გეოგრაფია, ბუნება, ფიზკულტურა და განსაკუთრებით შემოდგომა-გაზაფხულზე", „გაძლიერდეს კლასგარეშე კითხვის ორგანიზაცია, საგნობრივი წრეების მუშაობის ამაღლება", „პედაგოგიური საბჭოს ნახევარწლიური გეგმის შედგენა" და ა. შ. ფაქტია, რომ სკოლის ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის რიგიანად შედგენისათვის ახალსოფლის სკოლა-ინტერნატში არავის უზრუნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექტორი ა. ჭითანავა, მისი მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ლ. ჯაბუა, დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში თ. ბერაძე სუსტად ხელმძღვანელობენ სასწავლო-საალმზრდელო და სამეურნეო მუშობას. მათ ყოველდღიური კონტროლი არა აქვთ დაწესებული მასწავლებლებისა და აღმზრდელების მუშაობაზე. სწორედ ამით აიხსნება, რომ მთელი რიგი მასწავლებლებისა უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, უგულებელყოფენ პროგრამულ მოთხოვნებს, სწავლების პროცესში არ იყენებენ ახალ ხერხებსა და მეთოდებს, თვალსაჩინოებას, სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, უხარისხოდ ატარებენ საკონტროლო წერებს. მხოლოდ და მხოლოდ დირექციის მხრივ სრული უკონტროლობით აიხსნება ის, რომ ფაქტიურად არ წარმოებს საკონტროლო წერების გასწორება და მისი შედეგების ანალიზი, როგორც აღვნიშნეთ, ძალზე ხშირად მოსწავლეთა ცოდნის შეფასებებში ადგილი აქვს აშკარა ლიბერალიზმს და მაინც პირველი მეოთხედის ბოლოს 309 აღსაზრდელიდან ვერ ასწრებდა — 35 (მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 99,5%), ჩაშლილია მუშაობა აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან. ეს მეტად საჭირო საქმე თვითდინებაზეა მიშვებული და დირექციას მასზე არა აქვს დაწესებული სათანადო კონტროლი. მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე უარყოფით გავლენას ახდენს სკოლა-ინტერნატის პირობებში ყოვლად გაუმართლებელი ხშირი გაცდენები; 13 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე მოსწავლეთა მიერ გაცდენილია 4627 საათი (თითოეულ მოსწავლეზე 15 საათი). სკოლა-ინტერნატს გააჩნია სწავლების ისეთი ტექნიკური საშუალებები, როგორიცაა კინოაპარატი (1), ტელევიზორი (3), ეპიდიასკოპი (1), კოდოსკოპი (1), მაგნიტოფონი (1). რა თქმა უნდა, ისინი მინიმალურადაც ვერ დააკმაყოფილებენ მოთხოვ-

ნებს, მაგრამ ინტერნატში არსებული სშაუალებებიც კი გამოყენებული არ არის. ასევე უწესრიგოდ არის განლაგებული ფიზიკის კაბინეტში ხელსაწყო-იარაღები, რომელთა უმრავლესობა გამოუყენებელია. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, დირექციას ეს კითხი ერთხელაც არ განუხილავს პედსაბჭოს სხდომაზე. დირექტორს, ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო, მოსმენილი ჰქონდა მხოლოდ 15 გაკვეთილი, ხოლო დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ლ. ჯაბუას — 60. ლ. ჯაბუას კარგად აქვს გაანალიზებული მოსმენილი გაკვეთილები, ზოგიერთი მასწავლებლის მიმართ გაკეთებული აქვს არსებითი ხასიათის შენიშვნები. მაგრამ I მეოთხედის შედეგების განხილვის დროს, საკმაო სიღრმით გაუანალიზებია პედაგოგიური კოლექტივის მუშაობის ავკარგი, სწორად მიუნიშნებია სერიოზულ ნაკლოვანებებზე. მიუხედავად ამისა, სკოლა-ინტერნატის დირექცია ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლაში ვერ იჩენს პრინციპულობასა და თანმიმდევრობას. დირექტორი და მისი მოადგილეები ნაკლებად ესწრებიან აღმზრდელებს და ვერ ახდენენ მათი მუშაობის გეგმაზომიერ შესწავლას, მოწინავე გამოცდილების განზოგადებას. სკოლა-ინტერნატის დირექციამ საჭიროა მეტი ყურადღება დაუთმოს აღმზრდელთა და კლასის ხელმძღვანელთა მეოთხედური გეგმების დახვეწას, სააღმზრდელო ჟურნალების წარმოებას, თვითმომზადების სწორ ორგანიზაციას, აღმზრდელთა მუშაობაზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაძლიერებას.

გარდაქმნას საჭიროებს მასწავლებელთა მეთოდური მუშაობა, რომელიც სკოლა-ინტერნატში, თუ ცალკეულ გამონაკლისს არ მივიღებთ მხედველობაში, ფაქტიურად ჩაშლილია. ამასთან დაკავშირებით, ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ 27 მოსწავლიდან 21-ს ოთხქმის 10 წლის განმავლობაში არ გაუვლია მასწავლებელთა დახელოვნების კურსები.

სკოლა-ინტერნატში ძალზე დიდია ბავშვთა დენადობა. როგორც ჩანს, დირექციის წარმომადგენლები, მასწავლებლები და აღმზრდელები სათანადოდ არ სწავლობენ დენადობის მიზეზებს და არ ზრუნავენ მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებისათვის, 5 სექტემბრის მონაცემებით სკოლა-ინტერნატში ირიცხებოდა 352 აღსაზრდელი (გეგმით 340), 12 დეკემბრისათვის კი — 304. ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი მიზეზია სეიროზული ხარვეზები ბავშვთა კვების საქმეში, რომელიც გამოწვეულია როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზებით. მაგალითად, 1 დეკემბერს კვებაზე აყვანილ

262 აღსაზრდელზე მენიუ-მოთხოვნილების მიხედვით უნდა გაცემულიყო 10 კილო და 400 გრამი კარაქი, თითოეულ აღსაზრდელზე 40 გრამი. ფაქტიურად გაიცა 9,1 კგ. ე. ი. თითოეულ ბავშვზე 35 გრამი. აღნიშნული მაგალითი ნათლად მოწმობს, რომ სკოლა-ინტერნატის დირექტორი, მისი მოადგილეები, ექიმი და მზარეული სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მენიუს შედგენასა და თითოეული ბავშვის კუთვნილი პროდუქტების გაანგარიშების საქმეს. მენიუში გამოყვანილი არ არის ერთი აღსაზრდელის კვების დღის საშუალო ღირებულება, მზა კერძების გამოსავლიანობა და კალორიულობა. აღსაზრდელთა კვება, ხშირ შემთხვევაში, ერთფეროვანია, რის გამო ბავშვები არ ჭამენ მას. მაგალითად: 11 დეკემბერს სადილად დამზადებული კერძები გემრიელი და ყუათიანი იყო, მაგრამ მოსწავლეთა 70% უარი განაცხადა „სუპზე". როგორც გამოირკვა, ეს კერძი კვირაში თითქმის სამ-ოთხჯერ ეძლევათ მათ. იმაში, რომ სკოლა-ინტერნატში კვება ხშირად ერთფეროვანია, ბრალი ზუგდიდის რაიონის გარეუბნის მომხმარებელთა საზოგადოებასაც (თავმჯდომარე ა. აბრალავა) მიუძღვის. 1973 წლის 1 სექტემბრიდან 1 დეკემბრამდე მათ სკოლა-ინტერნატს დააკლეს 3187 კგ ახალი ხილი, 3187 კგ. ბოსტნეული, 3178 კგ. პური, 1729 კგ კარტოფილი, 792 კგ თევზი, 391 კგ ყველი, 299 კგ კარაქი, 267 კგ შაქარი. სავსებით არ მიუციათ ნორმით გათვალისწინებული 10890 ცალი კვერცხი და 435 კგ ლობიო. ამის გამო დარღვეულია ერთ აღსაზრდელზე ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული კვების დღიური ღირებულება; ნაცვლად 94 კაპიკისა სექტემბერში გახარჯულია 86 კაპიკი, ოქტომბერში — 85, ნოემბერში — 84.

დირექციის მიერ გადამჭრელი ზომების მიუღებლობის გამო, სკოლა-ინტერნატში მშობლების გადასახადზე შექმნილია მეტად დიდი დავალიანება: 1973 წლის 1 სექტემბრისათვის დავალიანება 2016 მანეთს შეადგენდა. მომდევნო სამ თვეში კი ეს თანხა 2398 მანეთამდე გაიზარდა. გამოყოფილი საბიუჯეტო თანხებიდან აუთვისებელია 6612 მანეთი, ხოლო სხვადასხვა მუხლებში გადახარჯვა 406 მანეთს უდრის.

ჩვენ მიერ, შერჩევით, შემოწმებულ იქნა სურსათისა და რბილი ინვენტარის საწყობები. შემოწმების შედეგად მატერიალურად პასუხისმგებელ პირს გ. შონიას აღმოაჩნდა 6 მანეთისა და 25 კაპიკის ღირებულების 1 540 გრამი კარაქის, 300

გრამი შაქრისა და 100 გრამი ნამცხვრის ზედმეტობა. სხვაგან დარღვევები არ ყოფილა აღმოჩენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე გვინდა მოგახსენოთ, რომ სკოლა-ინტერნატს მუშაობაში გააჩნია ობიექტური ხელის შემშლელი მიზეზებიც, რომლებიც ძალზე აუარესებენ აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობებს: სკოლა-ინტერნატი ზაფხულობით განიცდის სასმელი და სამეურნეო წყლის მწვავე ნაკლებობას, რაც მეტად მძიმე მდგომარეობაში აყენებს პედაგოგიურ კოლექტივსა და მოსწავლეებს, აძნელებს სანიტარიული ნორმების დაცვის საქმეს. იგივე შეიძლება ითქვას ელექტრო მომარაგებაზე, რომელიც ძალზე არასტაბილურია. ინტერნატი ზამთრობით, ხშირად ხანგრძლივი დროით ელექტროენერგიის გარეშე რჩება, რაც, სხვა სიძნელეებთან ერთად, აფერხებს ცენტრალური გათბობის მუშაობას და საფრთხეს უქმნის საქვაბე მეურნეობას.

თ. ნიკოლაიშვილი
ე. ქურციკიძე
ნ. ვაჩნაძე
ვ. მელაძე
დ. გვალია
მ. სხირტლაძე
თ. ხურცილავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 27 თებერვლის გრძანება № 163

აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, რომელმაც მოისმინა აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების განათლების მინისტრების ამხ. ამხ. თ. კოღონიასა და ვ. წულუკიძის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგის ამხ. გ. ძაგოევის ინფორმაციები საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ დასახელებულ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში სერიოზული ნაკლოვანებებია საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეში.

არ ხდება სასკოლო ასაკის ბავშვთა ზუსტი აღრიცხვა არსებული დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გაგრის, გუდაუთის, გულრიფშის, სოხუმისა და ოჩამჩირის რაიონების ბევრ სასოფლო საბჭოს არ გააჩნიათ სასკოლო ასაკის ბავშვთა დაზუსტებული სიები. სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვას აწარმოებენ მხოლოდ განათლების ორგანოები და სკოლების პედაგოგიური კოლექტივები, რომლებიც აღრიცხვას აწარმოებენ არა საკომლო წიგნების. და საბინაო დავთრების მეშვე-

ობით, არამედ კარდაკარ შემოვლით, რომელიც არ იძლევა ზუსტ სურათს. ანალოგიური ნაკლოვანებებია აჭარის ასს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში იმდენად უპასუხისმგებლოდაა შევსებული სტატისტიკური ანგარიშები, რომ რესპუბლიკებისა და ოლქის მონაცემები არ ედრება მათში შემავალი რაიონებისა და ქალაქების შესაბამისი მონაცემების ჯამს.

1973-1974 სასწავლო წლის მოსწავლეთა კონტიგენტის სახელმწიფო-სამეურნეო გეგმა შესრულებული აქვს აფხაზეთის ასს რესპუბლიკას მხოლოდ 97,1%, აჭარის ასს რესპუბლიკას — 99,78%-ით.

დიდია სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სკოლებიდან 1972-1973 სასწავლო წელს გავიდა 2246 მოსწავლე, მათ შორის საღამოს სკოლებში — 170, გაირიცხა—27, პროფტექნიკურ სასწავლებლებში გადავიდა — 60, განითესა — 139. განთესილია ქ. სოხუმში — 26 მოსწავლე, ტყვარჩელში — 19, ქ. გაგრაში — 7, გუდაუთის რაიონში — 21, სოხუმის — 2, გულრიფშის — 19, ოჩამჩირის — 27, გალის რაიონში — 8.

აჭარის ასს რესპუბლიკის სკოლებიდან გავიდა — 1105, მათ შორის საღამოს სკოლებში — 31, ავადმყოფობით — 55, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 262, განითესა — 130, გაირიცხა — 41. რესპუბლიკაში სულ აღრიცხულია 7-15 წლის 64 484 ბავშვი, აქედან ჩაბმულია სწავლებაში 64186, არაა ჩაბმული სწავლებაში 298, მათ შორის ავადმყოფობით — 79, გონებრივი ჩამორჩენილობის და სხვა დეფექტის გამო — 131; სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლებიდან — 298, მათ შორის ავადმყოფობით — 31, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 32.

ბათუმის მე-10 (დირექტორი ო. გვარიშვილი) და 28-ე (დირექტორი დ. ანთაძე) საშუალო სკოლებში ადგილი აქვს მოსწავლეთა მიწერებს. ქ. სოხუმის მე-5 სკოლის I-VIII კლასებიდან სამუშაოს დაწყების გამო გასულია 13 ბავშვი, გალის რაიონის აჩიგვარის II საშუალო სკოლიდან (დირექტორი ი. ჩხვირკია) ტექნიკუმებში გადასულადაა ნაჩვენები 15 ბავშვი, გალის მე-2 საშუალო სკოლიდან (დირექტორი ნ. ეზუგბაია) — 4, სიდის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ი. ლაგვილავა) — 3, ტყვარჩელის მე-2 საშუალო სკოლიდან (დირექტორი მ. ლეკვეიშვილი) გარიცხულია — 2, მუშაობის დაწყების გამო გასულია 5 მოსწავლე, ტყვარჩელის პირვე-

ლი საშუალო სკოლიდან (დირექტორი კ. მინჯია) გარიცხულია 4 მოსწავლე, განთესილია — 4, გაგრის მიხელრიფშის საშუალო სკოლიდან (დირექტორი მ. დემირჭიანი), მუშაობის დაწყების გამო გავიდა 4 მოსწავლე, ლესელიძის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ო. ჯიქია) ტექნიკუმში გადავიდა — 4, ოჩამჩირის მე-4 საშუალო სკოლიდან (დირექტორი თ. გაბელაია) 4 განითესა, 4 მუშაობის დაწყების გამო გავიდა. აღსანიშნავია, რომ გუპის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ვ. ლოგუა) უღირსი საქციელისათვის გარიცხეს მე-3 კლასის მოსწავლე. ქობულეთის რაიონის ბობოყვათის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. კაკალაძე) გაირიცხა — 2, სიშორის გამო გავიდა — 2, ტექნიკუმში გადავიდა — 2, სამუშაოზე მოწყობის გამო — გავიდა 2 ბავშვი, ხალის საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. გოგიჩაიშვილი) სამუშაოზე მოწყობის გამო გავიდა 10 ბავშვი, ქედის რაიონის უჩხითის საშუალო სკოლიდან (დირექტორი უ. გვარიშვილი) სამუშაოზე მოწყობის გამო გავიდა 4 ბავშვი, ქ. ბათუმის მე-18 საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. ბაკურიძე) სამუშაოზე მოწყობის გამო გავიდა 3 ბავშვი, მე-20 საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. ჯაყელი) ტექნიკუმში წავიდა — 3, პირველი სკოლა-ინტერნატიდან (დირექტორი ა. კაკაბაძე) ანგარიშში ნაჩვენებია, ვითომ ტექნიკუმში გავიდა 3 ბავშვი.

დიდია საოამოს (ცვლის) სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა. 1972-1973 სასწავლო წელს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სკოლებიდან გასულია 1197 მოსწავლე (24,3%), აჭარის ასს რესპუბლიკის სკოლებიდან — 702 (17,2%), სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლებიდან — 198 (15,5%) .

არაა ნაჩვენები, თუ რა მიზეზით გავიდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 1302, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 504, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 21 ბავშვი. სახალხო განათლების ორგანოები და სკოლები საჭირო ზომებს არ ღებულობენ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 8-წლის წინათ პირველ კლასში მიღებულ მოსწავლეთაგან ამჟამად მერვე კლასში აგრძელებს სწავლას 87,2%, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 90,1%, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქში — 92,3%.

სკოლებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. დიდია მეორეწლიანთა რაოდენობა. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 1972-1973 სასწავლო წლის ბოლოს იმავე კლასში დატოვეს 3618 მოსწავლე, მათ შორის ქ. სოხუმში —

366, ქ. ტყვარჩელში — 251, ქ. გაგრაში — 267, სოხუმის რაიონში — 291, გულრიფშის — 496, გალის — 731, ოჩამჩირის — 820, გუდაუთის — 366; აჭარის ასს რესპუბლიკაში — 3128, მათ შორის ქ. ბათუმში — 464, ხელვაჩაურის რაიონში — 748, ქედის — 444, ხულოს — 577, ქობულეთის — 593, შუახევის — 305; სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 804, მათ შორის ქ. ცხინვალში — 199, ცხინვალის რაიონში — 147, ჯავის — 211, ზნაურის — 125, ლენინგორის — 124.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორეწლიან მოსწავლეთა ნაწილი 1973-1974 სასწავლო წელს არ გამოცხადდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 463, მათ შორის ქ. სოხუმში — 57, ქ. ტყვარჩელში — 37, ქ. გაგრაში — 19, სოხუმის რაიონში — 11, გულრიფშის — 62, გალის — 139, ოჩამჩირის — 90, გუდაუთის — 48; აჭარის ასს რესპუბლიკაში — 268, მათ შორის ქ. ბათუმში — 51, ქედის რაიონში — 63, ხულოს — 59, ქობულეთის — 59, შუახევის — 39; სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქში — 195, მათ შორის ქ. ცხინვალში — 15, ცხინვალის რაიონში — 12, ჯავის რაიონში — 21, ზნაურის — 26, ლენინგორის — 93. დიდია მეორეწლიანთა რაოდენობა ჯავის (5,3%) და ზნაურის (3,2%) რაიონებში.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში იმავე კლასებში დატოვეს I-III კლასების 702 მოსწავლე, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 869, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 123.

აკადემიური მოსწრების მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც 1973-1974 სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით არის. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში შეფასებული 96.352 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 13.126 მოსწავლე. მათ შორის გალის რაიონში (გამგე ამხ. ა. ჩიკვატია) ვერ ასწრებს 1247, ოჩამჩირის (გამგე ი. ი. ლაბახუა) — 1253, გულრიფშის (გამგე ამხ. ნ. სართანია) — 888, გუდაუთის (გამგე ი. შამბა) — 871, ქ. სოხუმში (გამგე ამხ. შ. ფოცხვერია) — 1128. რესპუბლიკაში შეფასებული 69078 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 7778, 2508 მეორეწლიანი. მოსწავლიდან ვერ ასწრებს — 624, მათ შორის I კლასში 234, მეორეწლიანიდან ვერ ასწრებს — 40, მეორე კლასში — 208-დან — 40, III კლასში — 345-დან — 71.

დიდია შეუფასებელ მოსწავლეთა რაოდენობა: აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში შეუფასებელია 317 მოსწავლე, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 215, სამხრეთ ოსეთის ა/ო-ში — 168.

განათლების ორგანოები და სკოლები ვერ აღწევენ იმას, რომ გონებრივი და ფიზიკური დეფექტის მქონე ბავშვები ჩააბან სპეციალურ სასწავლებლებში. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ჩაბმული სწავლებაში 169 გონებრივი და ფიზიკური დეფექტის მქონე ბავშვი, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 135, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო განათლების ორგანოები და სკოლები საჭირო ზომებს არ ღებულობენ სკოლებში აღმზრდელობითი მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დასაყენებლად, სასკოლო დისციპლინის გასამტკიცებლად, რის გამო დიდია არასაპატიო მიზეზით მოსწავლეთა მიერ გაცდენები არასაპატიო მიზეზით აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სკოლებში გაცდენილია 550.780, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 533.000, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 110.035 გაკვეთილი.

სასკოლო ინტერნატებში არაა შექმნილი სათანადო პირობები აღსაზრდელთა ცხოვრებისა და სწავლისათვის. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში არის მხოლოდ 4 სასკოლო ინტერნატი 149 აღსაზრდელით, აჭარის ასს რესპუბლიკაში არის მხოლოდ 25 სასკოლო ინტერნატი 1088 აღსაზრდელით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში— 28 — 617 აღსაზრდელით.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მუშაობს გახანგრძლივებული დღის 37 ჯგუფი 948 მოსწავლით, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 48-1457, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 60-1746 აღსაზრდელით.

საჭირო ღონისძიებები არ ტარდება სკოლების მატერიალური ბაზის გასაძლიერებლად, სასწავლო კაბინეტებისა და ლაბორატორიების მოსაწყობად.

ჯერ კიდევ მეორე წყებაში სწავლობს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 21.470 ბავშვი, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 9234, სამხრეთ ოსეთის ა/ო-ში 6672 ბავშვი.

ზოგჯერ დანიშნულების მიხედვით არ იყენებენ საყოველთაოსავალდებულო სწავლების ფონდს. 1972 წელს არ იქნა ათვისებული აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 2400 მანეთი, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 2000, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 2300 მან.

ქმედით ზომებს არ ღებულობენ არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევისა და დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილია სამართლის დარღვევის 157 შემთხვევა, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 143, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 79.

საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებასთან დაკავშირებით არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების განათლების მინისტრებმა ამხ. ამხ. თ. კოღონიამ და ვ. წულუკიძემ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. გ. ძაგოევმა, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებთან ერთად:

ა) უზრუნველყონ სისტემატური დახმარება და კონტროლი სკოლების მუშაობაზე, აამაღლონ სკოლის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა პასუხისმგებლობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად ამაღლებისა და მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის დანერგვისათვის;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეს;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღონ მეორეწლიანობის მკვეთრად შემცირებისა და მოსწავლეთა განთესვის აღმოფხვრისათვის. ყოველი მოსწავლის სკოლიდან უმიზეზოდ გასვლა განიხილონ, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა;

დ) გულდასმით შეამოწმონ სკოლების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების სისწორე, შემოწმების შედეგები განიხილონ კოლეგიებისა და განათლების საბჭოების სხდომებზე; მიიღონ მკაცრი ზომები, რათა აღკვეთილ იქნეს ყოველგვარი უზუსტობა და შეუსაბამობა სკოლების მიერ წარმოდგენილ სტატისტიკურ მონაცემებში;

ე) დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი მასწავლებელთა იდეური, საქმიანი კვალიფიკაციისა და პედაგოგიური დახელოვნების ამაღლებისათვის. ფართოდ დანერგონ სკოლების მუშაობის პრაქტიკაში იმ მასწავლებლებისა და პედაგოგიური კოლექტივების მოწინავე გამოცდილება, **რომლებმაც მაღალ წარმატებებს** მიაღწიეს;

ვ) გააძლიერონ მუშაობა მშობლებთან, სათანადო ორგანოებთან ერთად გაზარდონ მათი პასუხისმგებლობა ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის საქმეში.

2. ბათუმის მე-10 საშუალო სკოლის დირექტორი ო. გვარიშვილი და 28-ე საშუალო სკოლის დირექტორი დ. ანთაძე მოსწავლეთა მიწერებისათვის მოიხსნან დაკავებული თანამდებობებიდან.

3. საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის გალის რაიონის აჩიგვარის II საშუალო სკოლის დირექტორს ი. ჩხვიკაიას, ტყვარჩელის პირველი და მეორე საშუალო სკოლების დირექტორებს კ. მინჯიასა და მ. ლეკვეიშვილს, ოჩამჩირის მეოთხე საშუალო სკოლის დირექტორს თ. გაბელაიას, ქობულეთის რაიონის ბობოყვათის საშუალო სკოლის დირექტორს ა. კაკალაძეს, ხალის საშუალო სკოლის დირექტორს გ. გოგიჩაიშვილს გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

4. საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის გალის მეორე საშუალო სკოლის დირექტორს ნ. ეზუგბაიას, სიდის საშუალო სკოლის დირექტორს ი. ლაგვილავას, ჭუბურხინჯის საშუალო სკოლის დირექტორს ი. აქუბარდიას, გაგრის რაიონის მიხელრიფშის საშუალო სკოლის დირექტორს მ. დ. მურჩიანს, ლესელიძის საშუალო სკოლის დირექტორს ო. ჯიქიას, გუპის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. ლოგუას, ბათუმის მე-18 და მე-20 საშუალო სკოლების დირექტორებს ა. ბაკურაძესა და ჯაყელს, ბათუმის პირველი სკოლა-ინტერნატის დირექტორს ა. კაკაბაძეს გამოეცხადოთ საყვედური.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა ამხ. ამხ. თ. კოლონიამ და ვ. წულუკიძემ სასწავლო წლის ბოლოს შეისწავლონ დასახელებული სკოლების მუშაობა და წარმომიდგინონ

თავიანთი წინადადებები აღნიშნული სკოლების დირექტორების თანამდებობებზე დატოვების მიზანშეწონილობის შესახებ.

6. აღნიშნოს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების განათლების სამინისტროებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეში.

7. გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძემ) ფართოდ განაზოგადოს მოწინავე სკოლების, ცალკეული მასწავლებლებისა და პედაგოგიური კოლექტივების გამოცდილება, რითაც საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ამაღლების, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების, მეორეწლიანობის შემცირებისა და სხვა დარგში; ამასთან, გამოავლინოს და მკაცრად გააკრიტიკოს ის სკოლები და მასწავლებლები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

8. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) სისტემატურად შეამოწმოს ცალკეულ რაიონებსა და ქალაქებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების, საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების მდგომარეობა და საჭირო ღონისძიებათა დასახვით წარმოადგინოს კოლეგიაზე განსახილველად.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 14 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 6 მარტის ბრძანება № 192

ქალაქების ქუთაისის, ტყიბულის, გორისა და ზუგდიდის, წყალტუბოს, ზუგდიდის, ხობის, გორის, ქარელის, კასპის და ზესტაფონის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების მდგომარეობის

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, რომელმაც მოისმინა ქ. ქ. ქუთაისის, ტყიბულის, გორისა და ზუგდიდის, წყალტუბოს, ზუგდიდის, ხობის, გორის, ქარელის, კასპისა და ზესტაფონის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების ამხ. ამხ. ბ. ფრუიძის, მ. გვენეტაძის, ვ. ზექალაშვილის, კ. მიქაიას, ი. მელაძის, გ. ნარმანიას, შ. ხარებავას, ა. ჩხეიძის, ნ. გოგიჩაიშვილის, ო. გორჯოლაძისა და გ. ჩიქოვანის ანგარიშები საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ დასახელებულ ქალაქებსა და რაიონებში სერიოზული ნაკლოვანებანია საყოველთაო-სავალდებულო სწავლების საქმეში.

1973—1974 სასწავლო წლის მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმა შესრულებული აქვს ქ. გორს — 98,1%-ით, ქ. ზუგდიდს — 96,52%, ქ. ქუთაისს — 99,1%, ზესტაფონის რაიონს — 99,9%, ქარელის — 99,07%, კასპის — 99,28%, წყალტუბოს — 99,96%-ით.

დიდია სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა. 1972-1973 სასწავლო წელს ქ. გორის სკოლებიდან გასულია I-VIII კლასების 179 მოსწავლე, მათ შორის ხანგრძლივი ავადმყოფობით — 16, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 30, სამუშაოზე მოწყობის გამო — 5, ქ. ტყიბულში — 140, მათ შორის პროფტექნიკურ სასწავ-

ლებლებში — 27, ქ. ზუგდიდში — 156, მათ შორის პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 27; ზესტაფონის რაიონში — 85, მათ შორის საერთო სკოლებში — 14, ავადმყოფობით — 8, გათხოვდა — 1, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 4; ზუგდიდის რაიონში — 104; ქარელის — 230, მათ შორის საერთო სკოლებში — 9, ავადმყოფობით — 25, გათხოვდა — 5, კასპის — 73, მათ შორის საერთო სკოლებში — 6, ავადმყოფობით — 12, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 4, განთესილია — 7; ხობის — 148, მათ შორის ავადმყოფობით — 12, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 36; წყალტუბოს — 123, მათ შორის საერთო სკოლებში — 6, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო (ცვლის) სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა შესრულებული აქვს ქ. ტყიბულს მხოლოდ 83,5%-ით, ქ. ზუგდიდს — 98,9%, გორის რაიონს — 95,3%, ზესტაფონის — 98,5%, კასპის — 87,1%, ხობის — 78,2%, წყალტუბოს — 80,5%-ით. დიდი რაოდენობითაა საერთო სკოლებიდან გასული მოსწავლეები. ქ. ქუთაისის სკოლებიდან 1972-1973 სასწავლო წელს გავიდა 224 (10,7%) მოსწავლე, ქ. გორში — 75 (10,5%), ქ. ტყიბულში — 210 (27,3%), ქ. ზუგდიდში — 41 (12,9%), ზესტაფონის რაიონის სკოლებიდან — 143 (15,3%), ზუგდიდის — 10 (5%), ქარელის — 65 (17,9%), კასპის — 36 (17,4%), ხობის — 38 (9,3%), წყალტუბოს — 102 (21,9%).

სახალხო განათლების ორგანოები და სკოლები საჭირო ზომებს არ ღებულობენ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად. 8 წლის წინათ I კლასში მიღებულ მოსწავლეთაგან ამჟამად VIII კლასში სწავლობს ქ. ქუთაისში — 94,2%, ქ. გორში — 95,8%, ქ. ტყიბულში — 97,2%, ქ. ზუგდიდში — 91,4%, გორის რაიონში — 97,1%, ზუგდიდის — 96,9%, კასპის — 92,9%, ხობის — 95,6%.

სკოლებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. დიდია მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა. ქ. გორში ირიცხება 316 მეორეწლიანი მოსწავლე. ქ. ტყიბულში — 166, გორის რაიონში — 177, ქარელის — 89, კასპის — 150, ხობის — 134, წყალტუბოს — 148.

აღსანიშნავია, რომ I-III კლასებში დატოვეს ქ. ქუთაისში — 22 მოსწავლე, ქ. გორში — 37, ქ. ტყიბულში — 23, გორის რაიონში — 9, ზესტაფონის — 23, ზუგდიდის — 14, ქარელის — 16, კასპის — 44, ხობის — 55, წყალტუბოს — 57.

აკადემიური მოსწრების მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც მიმ-
დინარე სასწავლო წლის I ნახევარის შედეგად არის. ქარელის რაი-
ონში ვერ ასწრებს 724 ბავშვი, აქედან ვერ ასწრებს 12 მეორეწლი-
ანი მოსწავლე: ქ. ტყიბულში ვერ ასწრებს 1230 მოსწავლე (15,2%),
მათ შორის მეორეწლიანი — 36, ტყიბულის საშუალო სკოლა-
ში (დირექტორი კუბლაშვილი) ვერ ასწრებს 159 (19,5%), მეორე-
წლიანი—8 (67%), მე-6 საშუალო სკოლაში (დირექტორი რ. მხეცა-
ძე) ვერ ასწრებს 138 (19%), მეორეწლიანი — 6 (60%); ქ. გორში
ვერ ასწრებს 1009 მოსწავლე (11,1%), მეორეწლიანი— 40 (32%),
მათ შორის ქ. გორის მე-7 სკოლაში (დირექტორი ა. ნათენაძე) ვერ
ასწრებს 10 მეორეწლიანი, მე-6 სკოლაში (დირექტორი ც. მეხუზ-
ლა) ვერ ასწრებს 9 მეორეწლიანი; კასპის რაიონში ვერ ასწრებს
768 მოსწავლე, მეორეწლიანი — 26; ქ. ქუთაისში ვერ ასწრებს
2068, მეორეწლიანი — 11; ხობის რიონში — 800, მეორეწლიანი —
10; გორის რაიონში ვერ ასწრებს 22 მეორეწლიანი მოსწავლე.

1973-1974 სასწავლო წელს მეორეწლიან მოსწავლეთაგან არ
გამოჯანმრთელდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში: ქ. ქუთაისში—114
მეორეწლიანი, ქ. ტყიბულში — 33, ქ. გორში — 83, ქ. ზუგდიდში —
61, ქარელის რაიონში — 135, მათ შორის I-VIII კლასებში — 100,
კასპის — 18, ზუგდიდის — 7, ხობის — 24, ზესტაფონის — 15,
წყალტუბოს — 23.

ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილება
და სკოლა უპასუხისმგებლოდ ეკიდება სტატისტიკური ფორმე-
ბის შევსების: ზესტაფონის რაიონში არ ჩანს სად წავიდა
163 ბავშვი, გორში — 71, კასპში — 5, ქ. ტყიბულში — 3, ქ. ქუ-
თაისის მე-17 საშუალო სკოლიდან (დირექტორი თ. კოკოჩაშვილი)
სამუშაოს დაწყების გამო გასულია I-III კლასებიდან — 7, IV-
VIII კლასებიდან — 14, სულ 21 ბავშვი, 31-ე საშუალო სკოლამ
(დირექტორი მ. გველესიანი) საბავშვო ბაღებში დაბრუნებულად
უჩვენა 4 ბავშვი; გორის მე-11 საშუალო სკოლიდან (დირექტორი
ს. ნუცუბიძე) გათხოვების გამო გასულია 5 ბავშვი, წყალტუბოს
რაიონის ხომურის 8-წლიანი სკოლიდან (დირექტორი ო. ჯიქია) ბავ-
შვთა კოლონიაში გაიგზავნა 2 ბავშვი, ზესტაფონის რაიონის ქვედა
საზანოს პირველი 8-წლიანი სკოლიდან (დირექტორი შ. კობახიძე)
სიშორის გამო გასულია 2 ბავშვი; კასპის რაიონის ფერმის 8-წლია-
ნი სკოლიდან (დირექტორი კ. სამყურაშვილი) გათხოვების გამო
გასულია 3 ბავშვი, ქარელის რაიონის ოქროს სოფლის 8-წლიანი

სკოლიდან (დირექტორი თ. ჯიოევი) I-III კლასებიდან „მეტრიკის გამო“ გარიცხულია 2 ბავშვი.

ციფრული ბიბლიოთეკა

სათანადო სიმაღლეზე არ დგას სასკოლო დისციპლინა. დიდი
არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა. 1972-
1973 სასწავლო წელს ქ. ქუთაისში არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 119.175 გაკვეთილი, ქ. გორში — 54.705, ქ. ტყიბულში — 10705, გორის რაიონში — 75.700, ზესტაფონის — 5311, ზუგდიდის — 26335, ქარელის — 4705, ხობის — 11.316, წყალტუბოს — 48771.

მიუხედავად მოთხოვნილებისა, სუსტადაა გაშლილი გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ქსელი. ქ. ქუთაისში არის მხოლოდ 42 ჯგუფი 1260 აღსაზრდელით, ქ. გორში შესაბამისად — 16-44², ქ. ტყიბულში — 22-660, ქ. ზუგდიდში — 37-1100, ზესტაფონის რაიონში — 16-630, ზუგდიდის — 17-510, კასპის — 2-60, სრულიად არ არის გახანგრძლივებული დღის ჯგუფები ხობის, ქარელის, წყალტუბოსა და გორის რაიონებში.

სახალხო განათლების ორგანოები და სკოლები საჭირო ზომებს არ ღებულობენ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად, კაბინეტ-ლაბორატორიების სრულყოფილად მოსაწყობად. მოსწავლეთა დიდი ნაწილი სწავლობს მეორე ცვლაში. ქ. ქუთაისში მეორე ცვლაში მეცადინეობს 9592 ბავშვი, ქ. გორში — 3066, ქ. ტყიბულში — 1703, ქ. ზუგდიდში — 2034, ზესტაფონის რაიონში — 3057, ზუგდიდის — 1443, გორის — 4909, ქარელის — 3095, კასპის — 2054, ხობის — 1403, წყალტუბოს — 1448.

ზოგჯერ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდს მიზნობრივად არ იყენებენ: 1972 წლის ფონდიდან ქ. ტყიბულს არ აუთვისებია 600 მან, ზესტაფონის რაიონს — 200, ხობის — 300, წყალტუბოს რაიონს აუთვისებელი დარჩა 12.500 მან.

სახალხო განათლების ორგანოები და სკოლები, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად, საჭირო ზომებს, არ იღებენ არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი მოქმედების თავიდან ასაცილებლად. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ქ. ქუთაისში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილია 117 დანაშაული ქ. ფოთში — 66, ქ. ტყიბულში — 29, ქ. ზუგდიდში — 83, ქ. გორში — 56, ზესტაფონის რაიონში — 93, ზუგდიდის — 73, ქარელის — 77, კასპის — 74, ხობის — 57, წყალტუბოს — 71.

საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. ქუთაისის, ტყიბულის, გორისა და ზუგდიდის, ზესტაფონის, გორის, ზუგდიდის, ქარელის, კასპის, ხობისა და წყალტუბოს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ამხ. ამხ. ბ. ფრუიძემ მ. გვენეტაძემ, ვ. ზექალაშვილმა, კ. მიქაიამ, მ. ჩიქოვანმა, ა. ჩხეიძემ, მ. ნარმანიამ, ნ. გოგიჩაშვილმა, ო. გორჯოლაძემ, შ. ხარებავამ და ი. მელაძემ, სკოლების დირექტორებთან ერთად:

ა) ღრმა ანალიზი გაუკეთონ ქალაქებისა და რაიონების სკოლების მიერ წარმოდგენილ წლიურ ანგარიშებსა და სტატისტიკურ ფორმებს, შედეგები განიხილონ სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და იმ სკოლების დირექტორების მიმართ, რომლებსაც არაზუსტი ცნობები ექნებათ წარმოდგენილი, მიიღონ მკაცრი ადმინისტრაციული ზომები;

ბ) უზრუნველყონ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განუხრელი შესრულება; გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სწავლებაში ჩასაბმელად და მოსწავლეთა კონტინგენტის მთლიანად შესანარჩუნებლად;

გ) საბჭოების დეპუტატების აქტიური მონაწილეობით მტკიცედ დარაზმონ ფართო საზოგადოებრიობა საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების უზრუნველსაყოფად; სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ერთობლივი მოქმედებით უზრუნველყონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება;

დ) გააძლიერონ მუშაობა მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონის, პროფესიული კვალიფიკაციისა და პედაგოგიური დაოსტატების განუხრელად ამაღლებისათვის; ფართოდ დანერგონ იმ მოწინავე სკოლების, კლასის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების გამოცდილება, რომლებმაც მიაღწიეს თვალსაჩინო შედეგებს მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისა და მეორეწლიანობის აღმოფხვრის საქმეში;

ე) ფართოდ გაშალონ მუშაობა, რათა საკუთარი სახსრებით სკოლებისა და სასკოლო ინტერნატების მშენებლობაში უფრო მეტად ჩაებან წარმოება-დაწესებულებები და კოლმეურნეობები.

2. საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეში არსებული სერიოზული დარღვევებისა და სტატისტიკური ფორმების უპასუხისმგებლოდ შევსებისათვის ქ. ქუთაისის მე-17 საშუალო სკოლის დირექტორს თ. კოკოჩაშვილს, ზესტაფონის რაიონის ქვედა საზანოს პირველი 8-წლიანი სკოლის დირექტორს მ. კობახიძეს გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

3. საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეში არსებული ნაკლოვანებების, მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა შორის სუსტი მუშაობისათვის ქ. ქუთაისის 31-ე საშუალო სკოლის დირექტორს მ. გველესიანს, ქ. გორის მე-6 საშუალო სკოლის დირექტორს ც. მეხუზლას, ქ. გორის მე-11 საშუალო სკოლის დირექტორს ს. ნუცუბიძეს, ქ. ტყიბულის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორს ა. კუბლაშვილს, ქ. ტყიბულის მე-6 საშუალო სკოლის დირექტორს რ. მხეცაძეს, ქარელის რაიონის ოქროს 8-წლიანი სკოლის დირექტორს თ. ჯიოევს გამოეცხადოთ საყვედური.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 21 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 6 მარტის ბრძანება № 193

ქ. თბილისის, ლენინის, ოქტომბრის, პირველი მაისის, კალინინის, ორჯონიკიძის, კიროვის, 26 კომისრისა და საქარხნო რაიონებში საყოველთო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, რომელმაც მოისმინა ქ. თბილისის, ლენინის, ოქტომბრის, პირველი მაისის, კალინინის, ორჯონიკიძის, კიროვის, 26 კომისრისა და საქარხნო რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების ამხ. ამხ. თ. ეგაძის, თ. ტატიშვილის, ქ. ჭანიშვილის, ნ. ჯორბენაძის, ე. ძნელაძის, რ. სურგულაძის, ა. მაჭარაშვილის, კ. სუჯაშვილისა და დ. კალანდაძის ანგარიშები საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ქ. თბილისში ძალზე ცუდადაა დაყენებული სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვის საქმე.

განათლების ორგანოები ვერ აღწევენ იმას, რომ რაიაღმასკომები, სახლმმართველობები და კანტორები იცავდნენ არსებული დადგენილებით დამტკიცებულ ინსტრუქციას „სასკოლო ასაკის ბავშვთა დამოზარდთა აღრიცხვის შესახებ". ქ. თბილისში სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვას აწარმოებენ მხოლოდ სკოლები, რაც ფაქტი არ არის. 1973 წლის ოქტომბერში, შემოწმების დროს, აღრიცხულ იქნა 6-15 წლის სასკოლო ასაკის 124539 ბავშვი. მაშინ, როდესაც თბილისის განათლების განყოფილების მიერ განათლების სამინისტროში სასწავლო წლის დაწყებისას წარმოდგენილ ცნობაში მათი რაოდენობა შეადგენდა 144988-ს, ე. ი. 20400 ბავშვით მეტს.

აქედან, რაიონების მიხედვით, 26 კომისრის რაიონში სხვაობა შეადგენდა 8558 ბავშვს, ლენინის — 5321-ს, 1-ლი მაისის — 2374-ს, კიროვის — 1715-ს, საქარხნოს — 1933-ს, ოქტომბრის — 1172-ს, კალინინის — 979-ს, ორჯონიკიძის რაიონში კი აღმოჩნდა 2151 ბავშვით ნაკლები, ვიდრე აღრიცხულ იქნა შემოწმების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონული კომისიების მიერ განმეორებით შემოწმებით დადგინდა, რომ აღრიცხვის გარეშე დატოვებული იყო 12373 ბავშვი. მრავალი ახლად აშენებული სახლი აღწერის დროს გამორჩენიათ მხედველობიდან. ასე, მაგალითად, მხოლოდ ერთ 9 სართულიან სახლში, შაუმიანის ქუჩაზე, არ აღურიცხავთ 112 ბავშვი.

ზოგჯერ სათანადოდ არაა ორგანიზებული სასკოლო ასაკის ბავშვთა ქალაქში ჩაწერის საქმე. არის ცალკეული შემთხვევები, როცა სკოლებში სწავლობენ ჩაუწერავი ბავშვები (ლენინის სახელობის რაიონში — 75, პირველი მაისის რაიონში — 300 და ა. შ.). არის აგრეთვე ისეთი ფაქტებიც, როცა ბავშვები ჩაწერილი არიან თბილისში და სწავლობენ სოფლებში. მაგალითად, პირველი მაისის რაიონის მხოლოდ ერთ მიკრორაიონში ჩაწერილია 28 მოსწავლე, რომელიც ფაქტიურად ცხოვრობს და სწავლობს სოფლად.

განათლების ორგანოების უკონტროლობისა და უპასუხისმგებლობის შედეგად არ არის აღმოფხვრილი დამატებითი ფინანსური კლასების გახსნის მიზნით მოსწავლეთა კონტინგენტის ფორმალური შენარჩუნების მავნე პრაქტიკა. ამის შედეგად ხდება, რომ მოსწავლე სასწავლო წლის დასაწყისში გადასულია ერთი სკოლიდან მეორეში, მაგრამ მაინც ძველ სკოლაში ირიცხება. მთლიანად ქალაქში 5 სექტემბერს, ე. ი. ფინანსური კლასების საბოლოოდ დამტკიცების შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა 2500-ით.

ზოგიერთი განათლების განყოფილება და სკოლა მალავს მოსწავლეთა განთესვის შემთხვევებს. ასე, მაგალითად, არსებული ცნობების თანახმად, ქალაქში განთესილად ითვლებოდა მხოლოდ 47 მოსწავლე, ფაქტიურად კი გამოვლინებულ იქნა — 353. ლენინის სახელობის რაიონში, ოფიციალური მონაცემებით, განთესილია 17 ბავშვი, შემოწმებით კი აღმოჩნდა, რომ არ სწავლობს 102 ბავშვი.(აქედან არ მუშაობს და არ სწავლობს — 16. მუშაობს, მაგრამ არ სწავლობს 12, გონებრივად ჩამორჩენილია, მაგრამ სწავლებას ექვემდებარება — 27, სწავლობს პროფტექნიკურ სასწავლებლებში, მაგრამ არ სწავლობს საღამოს სკოლაში — 46; 26 კომისრის რაიონ-

ში სწავლებაში ჩაუბმელია — 78; საქარხნო რაიონში — 60; კიროვის რ-ში — 39; ოქტომბრის — 32; 1-ლი მაისის — 30, ორჯონიკიძის — 19, კალინინის — 16 ბავშვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით დიდია განთესილთა რაოდენობა 139-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი დ. იაკობაშვილი) — 24, 95-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. ავაქოვი) — 4, 156-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. მეფისაშვილი) — 3, 71-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. ბახმალოვი) — 6, 93-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. არუთინიანი) — 4, 94-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ხ. ეფრიკიანი) — 6, 131-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. გოგიჩაიშვილი) — 5, მე-9 საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. როსტიაშვილი) — 14.

მიმდინარე სასწავლო წელს ქ. თბილისის სკოლებში არ გამოცხადდა 315 მეორეწლიანი მოსწავლე, მათ შორის I-VIII კლასებში არ გამოცხადდა 111 მეორეწლიანი მოსწავლე. აქედან ლენინის რაიონის სკოლებში — 27, ორჯონიკიძის — 47, კალინინის — 17, ოქტომბრის — 4, პირველი მაისის — 36, 26 კომისრისა და საქარხნო რაიონებში — 156, მათ შორის I-VIII კლასებში — 99, კიროვის რაიონში — 20.

განათლების განყოფილებები და სკოლების დირექტორები სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ ანგარიშებისა და სტატისტიკური ფორმების შედგენის საქმეში. 38-ე საშუალო სკოლას (დირექტორი დ. სტეცენკო) IV-VIII კლასებიდან გადასულად აქვს ნაჩვენები ტექნიკუმებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში 17 ბავშვი, 30-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ო. პატარაია) — 5, მე-16 საშუალო სკოლას (დირექტორი ლ. ღუდუშაური) — 17, მე-9 საშუალო სკოლას (დირექტორი გ. როსტიაშვილი) — 6, მე-8 საშუალო სკოლას (დირექტორი ა. კივილაძე) — 8, 124-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ე. ჯაფარიძე) — 9, 117-ე საშუალო სკოლას (დირექტორი გ. სვანიძე) — 7, 82-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ლ. ვორობიოვა) — 8, 106-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ზ. კანანოვა) — 4, 78-ე საშუალო სკოლას (დირექტორი შ. ჭითანავა) — 6, 84-ე საშუალო სკოლას (დირექტორი მ. მესხი) — 5, 101-ე საშუალო სკოლას (დირექტორი თ. ნიკოლაიშვილი) — 6.

სათანადო ყურადღება არ ექცევა ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე მოსწავლეებთან მუშაობას, ამ კატეგორიის 250 ბავშვიდან მიმდინარე წელს სწავლებში ჩაბმული იყო მხოლოდ 85. ამ

ჭრიან სუსტად მუშაობენ ლენინის, საქარხნო, კიროვისა და 26 კომისრის რაიონები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ კლასში ჩარიცხულ მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ დროულად ვერ ამთავრებს 8 კლასს. 8 წლის წინათ I-ელ კლასში ჩარიცხული 14089 მოსწავლიდან 1973 წელს 8 კლასი დამთავრა 13050-მა, ე. ი. 92,6%. ბევრი ბავშვი დატოვებულ იქნა იმავე კლასში ან თავს ანებებს სწავლას.

თბილისის სკოლების I-VIII კლასებიდან 1972-1973 სასწავლო წელს გავიდა 10.427 მოსწავლე, აქედან პროფტექნიკურ სასწავლებლებში გადავიდა 541, საღამოს სკოლებში — 233, გარიცხულ იქნა ულირსი საქციელისათვის — 4, განითესა — 162. ამავე პერიოდში, ქალაქის სკოლების IX-X კლასებიდან გავიდა 3227 მოსწავლე, აქედან არასაპატიო მიზეზით — 83.

ქალაქში ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული ყველა შესაძლებლობა საღამოსა და დაუსწრებელი განათლების განყოფილებისა დასრულყოფისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ირიცხება სწავლებაში ჩაუბმელი 16-29 წლის 2700 ახალგაზრდა, რომელთაც არ გააჩნიათ 8 წლიანი და საშუალო განათლება, ამ სკოლების დაკომპლექტების საქმე წლების განმავლობაში ჩაშლილია. მიღების გეგმა მიმდინარე სასწავლო წელს არ შესრულდა 1075 მოსწავლით, ეს 4,5%-ით დაბალია საერთო რესპუბლიკურ მონაცემებზე. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ ოქტომბრის, 1-ლი მაისისა და კალინინის რაიონებში. ჩარიცხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ამთავრებს სწავლების კურსს. გასულ სასწავლო წელს ამ სკოლებიდან 2400 მოსწავლემ, ე. ი. მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 25%-მა, სწავლას თავი დაანება, უმრავლესობამ არასაპატიო მიზეზის გამო.

სკოლებში საჭირო სიმაღლეზე არ დგას სასკოლო დისციპლინა. პედაგოგიური კოლექტივები სათანადოდ არ იბრძვიან გაკვეთილების გაცდენის წინააღმდეგ. გასულ სასწავლო წელს გაცდენილია 5.029538 გაკვეთილი, აქედან 373.433 — არასაპატიო მიზეზით, რაც ნაწილობრივ წარმოადგენს ჩამორჩენის, მეორეწლიანობის, მოსწავლეთა განთესვისა და მათ მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზს. თბილისის 126-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ც. ლეჟავა) მოსწავლეები სისტემატურად აცდენენ გაკვეთილებს. სკოლის ხელმძღვანელობა ქმედით ზომებს არ იღებს, რის შედეგადაც სულ ახლახან

სკოლაში მოხდა უბედური შემთხვევა. სამმა მოსწავლემ გაიტაცა ავტომანქანა და მოახდინა ავარია, 2 მათგანი დაიღუპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში შეიმჩნევა არასრულწლოვანთა დანაშაულებების შემცირების ტენდენცია, მაინც დიდია მათ მიერ შეუფერებელი ქცევისა და საზოგადოებრივი წესების დარღვევის შემთხვევები. 1973 წლის 9 თვის განმავლობაში მილიციის ბავშვთა ოთახებში მიყვანილ იქნა მრავალი მოზარდი. ბევრი მათგანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობს, და არ მუშაობს ან არსად არ სწავლობს.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ სამართალში მიცემულთა დიდ ნაწილს 5-6 კლასის განათლებაც კი არ გააჩნია. დამკვიდრდა სუსტი მოსწრებისა და „ძნელად აღსაზრდელ" მოსწავლეთა დღის სკოლიდან პროფტექნიკურ სასწავლებლებში ან საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში გადაყვანის პრაქტიკა. ბევრი მათგანი ამის გამო თავს ანებებს სწავლას, არსად არ მუშაობს და სისხლის სამართლის დანაშაულსაც კი სჩადის (125-ე, 126-ე, 107-ე, 95-ე, 117-ე, 62-ე სკოლები). მიუხედავად იმისა, რომ 143-ე, 85-ე, 46-ე, 191-ე, 144-ე, მე-18, მე-100, 102-ე და ზოგიერთი სხვა სკოლის დირექტორისა და პედკოლექტივისათვის კარგად იყო ცნობილი ე. წ. „ძნელი" ბავშვების მიდრეკილებანი, არ ჩაუტარებიათ მათთან პროფილაქტიკური სამუშაო, რის შედეგადაც ზოგიერთმა მათგანმა ჩაიდინა დანაშაული.

სათანადო ყურადღება არ ექცევა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდის მიზნობრივად გამოყენებას. 1972 წელს აუთვისებელი დარჩა 700 მანეთი.

მიუხედავად სასწავლო-მატერიალური ბაზის რამდენადმე გაუმჯობესებისა, ქ. თბილისში 16 სკოლაში ჯერ კიდევ მეცადინეობა სამ ცვლაში მიმდინარეობს. ქალაქის ორი გახანგრძლივებული დღის სკოლა და ერთი რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს ამ ტიპის სკოლებზე ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებას.

ქ. თბილისში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადასვლის დამთავრების საქმეში ჯერ კიდევ არსებული დარღვევებ-ისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. თბილისის განათლების განყოფილების, ლენინის, პირველ მაისის, ოქტომბრის, კალინინის, ორჯონიკიძის, კიროვის, 26 კომისრისა და საქარხნო რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ამხ. ამხ. თ. ეგაძემ, თ. ტატიშვილმა, ნ. ჯორბენაძემ, ქ. ჭანიშვილმა, ე. ძნელაძემ, რ. სურგულაძემ, ა. მაჭარაშვილმა, კ. სუჯაშვილმა და დ. კალანდაძემ, სკოლების დირექტორებთან ერთად:

ა) უზრუნველყონ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის უსიტყვოდ გატარება და საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების დროულად განხორციელება. მიიღონ ქმედითი ზომები,რათა სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი და მოზარდი ჩაბმული იყოს სწავლებაში და მოსწავლეთა კონტინგენტი შენარჩუნებულ იქნეს სწავლის დამთავრებამდე;

ბ) სრული წესრიგი დაამყარონ სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვის საქმეში, რისთვისაც მტკიცედ იხელმძღვანელონ ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული ინსტრუქციებითა და დებულებებით;

გ) რეგულარულად შეამოწმონ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების მიმდინარეობა და შედეგები განიხილონ განათლების საბჭოების სხდომებზე, მიიღონ ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

დ) სასკოლო ჟურნალებისა და სახლმმართველობების აღწერის მასალების დეტალური შეჯიბრის საფუძველზე, 1974 წლის 20 ივნისამდე დაადგინონ სწავლებაში ჩაუბმელი და სკოლებიდან განთეული მოსწავლეების რიცხვი, ცალკე, კლასების მიხედვით და უზრუნველყონ ახალი სასწავლო წლიდან მათი სწავლებაში ჩაბმა;

ე) გაშალონ მოსახლეობაში ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების შესახებ და ამ მუშაობაში ჩააბან საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი. მიიღონ ზომები იმ მშობლებისა და მათი შემცვლელი პირების მიმართ, რომლებიც ჯიუტად არიდებენ თავს ბავშვების ჩაბმას სკოლებში, თითოეული ასეთი მშობლის

საკითხი განსახილველად დააყენონ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების წინაშე;

ვ) გულდასმით შეამოწმონ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების მდგომარეობის შესახებ სკოლების მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მასალები და სათანადო სასჯელი დაადონ იმ სკოლების დირექტორებს, რომლებსაც არაზუსტი ცნობების წარმოდგენით შეცდომაში შეჰყავთ ხელმძღვანელი ორგანოები;

ზ) გააძლიერონ მუშაობა მასწავლებელთა იდეური დონისა და პედაგოგიური დახელოვნების სისტემატური ამაღლებისათვის. ფართოდ დანერგონ იმ მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილება, რომლებმაც მიაღწიეს კარგ შედეგებს მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ამაღლებისა და მეორეწლიანობის აღმოფხვრის საქმეში; საგანგებო მუშაობა ჩაატარონ ყველა მეორეწლიანი მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და მისი შემდგომ კლასში გადაყვანის უზრუნველსაყოფად;

თ) სასწავლო წლის ბოლოს შეისწავლონ ამ ბრძანებაში დასახელებული სკოლების მუშაობა და წამოაყენონ წინადადება იმ დირექტორების თანამდებობაზე დატოვების მიზანშეწონილობის შესახებ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ. მუშაობის არსებითად გაუმჯობესებას.

2. საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განთლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეში არსებული სერიოზული დარღვევებისა და სტატისტიკური ანგარიშების უპასუხისმგებლოდ შევსებისათვის მე-16 საშუალო სკოლის დირექტორს ლ. ღუდუშაურს, მე-9 საშუალო სკოლის დირექტორს გ. როსტიაშვილს, 124-ე საშუალო სკოლის დირექტორს ე. ჯაფარიძეს, 82-ე საშულო სკოლის დირექტორს ლ. ვორობიოვას, 71-ე საშუალო სკოლის დირექტორს ა. ბახშალოვს გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

3. საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისა და სტატისტიკურ ანგარიშებში დაშვებული შეცდომებისათვის 38-ე საშუალო სკოლის დირექტორს დ. სტეცენკოს, მე-8 საშუალო სკოლის დირექტორს ა. კივილაძეს, 90-ე საშუალო სკოლის დირექტორს

ა. არუთინიანს, 94-ე საშუალო სკოლის დირექტორს ხ. ეფრიკიანს, 131-ე საშუალო სკოლის დირექტორს გ. გოგიჩაიშვილს, 117-ე საშუალო სკოლის დირექტორს მ. სვანიძეს, 106-ე საშუალო სკოლის დირექტორს ზ. კანანოვას, 78-ე საშუალო სკოლის დირექტორს შ. ჭითანავას, 84-ე საშუალო სკოლის დირექტორს მ. მესხს გამოეცხადოთ საყვედური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. აღინიშნოს ქ. თბილისის განათლების განყოფილების (გამგე თ. ეგაძე), 26 კომისრის (გამგე ამხ. კ. სუჯაშვილი), ლენინის (გამგე ამხ. თ. ტატიშვილი), საქარხნო (გამგე ამხ. დ. კალანდაძე), ორჯონიკიძის (გამგე ამხ. რ. სურგულაძე) რაიონების განათლების განყოფილებების სრულიად არადამაკმაყოფილებელი მუშაობა საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის საქმეში.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ თბილისის 139-ე საშუალო სკოლის დირექტორი დ. იაკობაშვილი, რომელმაც ვერ უზრუნველყო საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება, განთავისუფლებულ იქნა დირექტორის თანამდებობიდან.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 21 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 7 მარტის ბრძანება № 194

ქ. ქ. რუსთავისა და ფოთის, ბორჯომის, გეგეჭკორის, დუშეთის, ყაზბეგის, ყვარლის, მცხეთის, ორჯონიკიძის, თერჯოლისა და წულუკიძის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, რომელმაც მოისმინა ქ. ქ. რუსთავისა და ფოთის, ბორჯომის, გეგეჭკორის, დუშეთის, ყაზბეგის, ყვარლის, მცხეთის, ორჯონიკიძის, თერჯოლისა და წულუკიძის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების ამხ. ამხ. ნ. გველესიანის, ა. ცხადაიას, ბ. მინჯიას, შ. ცანავას, ნ. კარიაულის, გ. კურკუმულის, დ. ლაფაჩიშვილის, თ. აბესაძის, შ. ჩხეკვაძის, ს. გაბრიჭიძისა და ს. ჭოლოკავას ანგარიშები საყოველთაო-სავალდებულო 8 წლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ დასახელებულ ქალაქებსა და რაიონებში საყოველთაო სწავლების გატარების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

1973-1974 სასწავლო წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა ქ. ფოთს შესრულებული აქვს მხოლოდ 97,66%, ბორჯომის რაიონს — 96,65%, ყაზბეგის — 92,2%, ყვარლის — 99,4%, ორჯონიკიძის — 97,67%, თერჯოლის — 99,7%, წულუკიძის — 99,6%.

განათლების ორგანოები და სკოლები საჭირო ზომებს არ ღებულობენ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად. 8 წლის წინათ I კლასში მიღებულთაგან ამჟამად მერვე კლასში სწავლობს ქ. ფოთში—92%, ქ. რუსთავში—98,4%, ბორჯომის რაიონში—75,8%, გეგეჭკორის — 89,5%, დუშეთის — 86,5%, ყაზბეგის — 57,9%,

ყვარლის — 89,8%, მცხეთის — 94,2%, ორჯონიკიძის — 88,3%, თერჯოლის — 98,6%, წულუკიძის — 94,8%.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა ქ. ფოთში შესრულებული აქვს მხოლოდ 89,4%, მცხეთის რაიონს — 94,9%, ორჯონიკიძის — 53,2%, წულუკიძის — 87,9%. სრულიად არ არის საღამოს სკოლები დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებში.

დიდია სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა: 1972-1973 სასწავლო წელს ქ. ფოთის I-VIII კლასებიდან გავიდა 209 ბავშვი. მათ შორის საღამოს სკოლებში — 16, გაირიცხა — 7, პროფტექნიკურ სასწავლებლებში გადავიდა—36; ქ. რუსთავის—133. მათ შორის საღამოს სკოლებში — 64, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 13, დუშეთის — 36, მათ შორის პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 11, განითესა — 15; ყაზბეგის — 58, მათ შორის ავადმყოფობით — 7; ყვარლის — 153, მათ შორის საღამოს სკოლებში — 14, განითესა — 14; მცხეთის — 81, მათ შორის საღამოს სკოლებში — 41, ავადმყოფობით — 10, პროფტექნიკურ სასწავლებლებში— 9, განითესა — 6; ორჯონიკიძის — 117, მათ შორის საღამოს სკოლებში — 17, ავადმყოფობით — 10, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 19, თერჯოლის — 84, მათ შორის პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 74; წულუკიძის რაიონის სკოლებიდან საღამოს სკოლებში გადავიდა 12 ბავშვი.

უფრო დიდია საღამოს სწავლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა. ქ. ფოთის სკოლებიდან გავიდა 119 ბავშვი (20,2%), ქ. რუსთავის — 757 (25,8%), ბორჯომის — 115 (25,4%), გეგეჭკორის 39 (8,3%), მცხეთის — 86 (26,5%), ორჯონიკიძის — 71 (26,6%), თერჯოლის — 101 (30,1%), წულუკიძის — 219 (16,8%).

განათლების განყოფილებები და სკოლის დირექტორები უპასუხისმგებლოდ და დაუდევრად ადგენენ წლიურ ანგარიშებს და სტატისტიკურ ფორმებს. ქ. ფოთში ანგარიშებში ზედმეტადაა ნაჩვენები 159 ბავშვი, ქ. რუსთავში — 204, ბორჯომის რაიონში — 152, გეგეჭკორის რაიონში აკლია 55, თერჯოლის — 53, წულუკიძის — 42 ბავშვი. გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. ლაშხია) ტექნიკუმში გადასულადაა ნაჩვენები — I-VIII კლასების 4 ბავშვი, კიწიის საშუალო სკოლიდან (დირექტორი კ. აბრამია) — 2, დუშეთის რაიონის აბანოსხევის რვაწლიანი სკოლიდან (დირექტორი გ. ლიქოკელი) — 2, ოძისის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. ბობღიაშვილი) — 2, ლა-

ფანაანთკარის 8-წლიანი სკოლიდან (დირექტორი გ. ჭინჭარაული) —1 ტექნიკუმში და 2 სამუშაოს დაწყების გამო, მცხეთის რაიონის ძალისის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ვ. გიორგანაშვილი) 6, ძეგვის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ლ. როსტიაშვილი) ტექნიკუმში — 3, სამუშაოს დაწყების გამო — 3, ძველი ქანდის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ო. უფლისაშვილი) — 6 სიშორის გამო, ბოგდანოვკის რაიონის ბოგის საშუალო სკოლიდან (დირექტორი შ. ზოროღლიანი) — 6, ჯიგრაშენის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. სნუხჩიანი) სამუშაოზე მოწყობის გამო გავიდა 3 ბავშვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებში საჭირო მუშაობა არ წარმოებს აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან. დიდია მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა ქ. ფოთში — 159 (2,16%), ქ. რუსთავში — 48 (2,02%), ბორჯომის — 146 (2,2%), გეგეჭკორის — 155 (1,5%), დუშეთის — 283 (3, .59%), ყაზბეგის — 41 (3,9%), ყვარლის — 127 (1,49%),. მცხეთის — 311 (3,5%), ორჯონიკიძის — 289 (4,16%), თერჯოლის — 158 (1,69%), წულუკიძის — 113 (1,9%).

აღსანიშნავია, რომ I—III კლასებში დატოვეს: ქ. ფოთში —20, ქ. რუსთავში — 56, ბორჯომის რაიონში — 38, გეგეჭკორის — 78, დუშეთის — 92, ყაზბეგის — 7, ყვარლის — 25, მცხეთის — 49, ორჯონიკიძის — 95, თერჯოლის — 35, წულუკიძის რაიონში — 28 ბავშვი.

მეორეწლიანთა გარკვეული ნაწილი არ გამოცხადდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში: ქ. ფოთში — 49, მათ შორის I-VIII კლასებში—23, შესაბამისად, ბორჯომის რაიონში 17-5, გეგეჭკორის — 5-4, დუშეთის — 44-24, ყაზბეგის — 4-3, მცხეთის — 99-79, ორჯონიკიძის — 28-14, თერჯოლის — 62-33, წულუკიძის — 10-8.

აკადემიური მოსწრების მხრივ არც მიმდინრე სასწავლო წლის 1-ლი ნახევრის შედეგად არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ქ. რუსთავში ვერ ასწრებს 69 მეორეწლიანი მოსწავლე. რუსთავის მე-20 საშუალო სკოლაში (დირექტორი ნ. თენგიშვილი) ვერ ასწრებს 128 მოსწავლე (18%), მეორეწლიანი — (55-5%), I-III კლასებში ვერ ასწრებს 7 მოსწავლე, მათ შორის პირველ კლასში — 2; მე-11 საშუალო სკოლაში (დირექტორი უ. მგალობლიშვილი) — 45 (14,8%), მეორეწლიანი — 12 (30%), I-III კლასებში ვერ ასწრებს 16, მათ შორის 1-ელ კლასში — 4; ორჯონიკიძის რაიონში ვერ ასწრებს 57 მეორეწლიანი მოსწავლე, მათ შორის ვერტყვიჭა-

ლის საშუალო სკოლაში (დირექტორი ე. კაპანაძე) — 10, ვახანის საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. გელაშვილი) — 6; მცხეთის რაიონში ვერ ასწრებს 70 მეორეწლიანი მოსწავლე, მათ შორის მცხეთის საშუალო სკოლაში (დირექტორი კ. ქოქოსაძე) — 12; რუსთავის მე-8 რვაწლიან სკოლაში (დირექტორი ჯ. დარჩია) ვერ ასწრებს 5 მეორეწლიანი მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდია შეუფასებელ მოსწავლეთა რაოდენობა. მიმდინარე სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგად შეუფასებელია: ქ. რუსთავის 21-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი დ. გაგოშიძე) — 13, მეორე საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. გურიელიძე) — 4, მე-3 საშუალო სკოლაში (დირექტორი ი. კრინოკოვი) — 3, მე-6 საშუალო სკოლაში (დირექტორი უ. სულამანიძე) — 4, მე-11 საშუალო სკოლაში (დირექტორი ჟ. მგალობლიშვილი) — 5, მე-12 საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. თუშურაშვილი) — 8.

სასკოლო ინტერნატებში არ არის შექმნილი სათანადო პირობები აღსაზრდელთა **ცხოვრებისა და სწავლისათვის.**

მიუხედავად საჭიროებისა, ყველგან არ არის გახსნილი გახანგრძლივებული დღის ჯგუფები. ქ. ფოთში არსებობს 28 ჯგუფი 841 აღსაზრდელით, შესაბამისად: რუსთავში — 17-496, გეგეჭკორის რაიონში — 3-95, ყვარლის — 27-693, თერჯოლის — 1-30, წულუკიძის — 5-150, სრულიად არ არის გახანგრძლივებული დღის ჯგუფები დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებში.

სახალხო განათლებისა და სკოლის ხელმძღვანელები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ სასკოლო დისციპლინის განმტკიცების საქმეს. დიდია მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა. 1972-1973 სასწავლო წელს არასაპატიო მიზეზით გაცდენილია. ქ. ფოთის სკოლებში 32820 საათი, რუსთავის — 64502, ბორჯომის რაიონის — 12.951, ყაზბეგის — 4705, ყვარლის — 25912, თერჯოლის — 20511, მცხეთის — 24948, ორჯონიკიძის — 9555, წულუკიძის — 30325.

სახალხო განათლების ორგანოები და სკოლები ქმედით ზომებს არ ღებულობენ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად, კაბინეტ-ლაბორატორიების სრულყოფილად მოწყობისათვის.

მეორე ცვლაში მეცადინეობს: ფოთში—2396 მოსწავლე, რუსთავში — 8245, ყვარლის — 2188, მცხეთის — 984, ორჯონიკიძის — 432, თერჯოლის — 1901, წულუკიძის რაიონში — 386.

ზოგიერთი ქალაქი და რაიონი მიზნობრივად არ ხარჯავს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების თანხებს. 1972 წლის საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდი არა აქვთ ათეულ ... ყვარლის რაიონს 40 მან. მცხეთის — 500.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო განათლების ორგანოები და სკოლები, სათანადო ორგანოებთან ერთად, საჭირო პროფილაქტიკურ ზომებს არ ღებულობენ არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი მოქმედების თავიდან ასაცილებლად. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ქ. ფოთში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილია სამართლის დარღვევის 37, შესაბამისად: ქ. რუსთავში— 79, ბორჯომის რაიონში — 59, გეგეჭკორის — 41, დუშეთის 94, ყაზბეგის 19, ყვარლის — 66, მცხეთის — 93, ორჯონიკიძის —61, თერჯოლის — 76 წულუკიძის — 53 შემთხვევა.

საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. ქ. რუსთავისა და ფოთის, ბორჯომის, გეგეჭკორის, დუშეთის, ყაზბეგის, ყვარლის, მცხეთის, ორჯონიკიძის, თერჯოლისა და წულუკიძის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ამხ. ამხ. ნ. გველესიანმა, ა. ცხადაიამ, ბ. მინჯიამ, თ. აბესაძემ, ნ. კარიაულმა, გ. კურკუმულმა, დ. ლაფაჩიშვილმა, შ. ცანავამ, შ. ჩხიკვაძემ, ს. გაბრიჭიძემ და ს. ჭოლოკავამ, სკოლის დირექტორებთან ერთად:

ა) დამატებით შეისწავლონ 1972-1973 სასწავლო წლის განმავლობაში სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტის შემცირების მიზეზები და სათანადო ღონისძიებების გასატარებლად საკითხი განსახილველად შეიტანონ საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების სხდომებზე;

ბ) სისტემატური და მტკიცე კონტროლი დააწესონ სკოლების მიერ სტატისტიკური ფორმების სწორად შევსებაზე; დროულად წარუდგინონ ზემდგომ ორგანოებს შემოწმებული მონაცემები მოსწავლეთა კონტინგენტისა და კლასების შესახებ, ფაქტიური მდგომარეობის ზუსტად დაგეგმვის მიზნით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მკაცრად გააფრთხილონ სკოლის დირექტორები, რათა მტკიცედ დაიცვან მოსწავლეთა მოძრაობის წესები; არ დაუშვან სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა მისი პირადი საქმის მიღებამდე, გარდა ამისა ერთ და იგივე ბავშვის ორ სკოლაში ერთდროულად აღრიცხვის შემთხვევები;

დ) ზუსტად აღრიცხონ სკოლიდან გასული სასკოლო ასაკის ბავშვები და უზრუნველყონ მათი 1974-1975 სასწავლო წლის 1 სექტემბრისათვის სწავლებაში უკლებლივ ჩაბმა; მკაცრად დასაჯონ, თანამდებობიდან განთავისუფლებამდეც კი, სკოლის დირექტორები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ჩაბმას სწავლებაში;

ე) სასკოლო ასაკის ბავშვები, რომლებიც ავადმყოფობის გამო დროებით ვერ დადიან სკოლაში, ჩათვალონ ამ სკოლის მოსწავლეებად და უჩვენონ მოსწავლეთა რაოდენობაში, ხოლო ავადმყოფ მოსწავლეს ჩაუტარონ ბინაზე ინდივიდუალური მეცადინეობა დადგენილი წესით;

ვ) გადაჭრით აამაღლონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მკვეთრად გააუმჯობესონ მუშაობა მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან, მიაღწიონ, რომ ყველა მოსწავლე თავის დროზე ამთავრებდეს 8 კლასს;

ზ) სასწავლო წლის სტატისტიკურ ანგარიშებს თან დაურთონ მოხსენებითი ბარათი მოსწავლეთა მოძრაობის შესახებ;

თ) სასწავლო წლის ბოლოს შეისწავლონ ბრძანებაში აღნიშნული დირექტორების მუშაობა და წარმოადგინონ წინადადებები მათი თანამდებობაზე დატოვების მიზანშეწონილობის შესახებ.

2. საყოველთაო-სავალდებულო 8-წლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეში არსებული სერიოზული დარღვევებისა და სტატისტიკური ფორმებისა და ანგარიშების უპასუხისმგებლოდ შევსებისათვის ბოგდანოვკის რაიონის პოგის საშუალო სკოლის დირექტორს შ. ზოსოლლიანს, მცხეთის რაიონის ძველი ქანდის საშუალო სკოლის დირექტორს ო. უფლისაშვილს. ძალისის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. გიორგანაშვილს, ძეგვის საშუალო სკოლის დირექტორს ლ. როსტიაშვილს, რუსთავის მე-20 საშუალო სკოლის დირექტორს ნ. თენგიშვილს გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

3. საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარების, საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საქმიანობასებული ნაკლოვანებების ,აგრეთვე სტატისტიკური ანგარიშების დაუდევრად შევსებისათვის ბოგდანოვკის რაიონის ჯიგრაშენის საშუალო სკოლის დირექტორს ა. სნუხჩიანს, გეგეჭკორის რაიონის დიდიჭყონის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის დირექტორს ა. ლაშხიას, კიწიის საშუალო სკოლის დირექტორს ა. ბარამიას, დუშეთის რაიონის ლაფანაანთკარის 8-წლიანი სკოლის დირექტორს გ. ჭინჭარაულს, აბანოსხევის რვაწლიანი სკოლის დირექტორს ვ. ლიქოკელს, ოძისის საშუალო სკოლის დირექტორს ა. ბობღიაშვილს, ქ. რუსთავის მე-8 საშუალო სკოლის დირექტორს ჯ. დარჩიას გამოეცხადოთ საყვედური.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 28 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. დროებითი დებულება—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტისა 3
2. ტიპობრივი დებულება—სწავლების ტექნიკურ საშუალებათა მეთოდური კაბინეტისა 6
3. ბრძანება № 106—ამბროლაურის, ახმეტის, გურჯაანის, ლაგოდეხის. ლენტეხის, მესტიის, ონის, სიღნაღის, წითელწყაროს, საგარეჯოს, თელავის, თიანეთისა და ცაგერის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელების მდგომარეობის შესახებ . . . 11
4. ბრძანება № 121—საბჭოთა კავშირის გმირის—გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძ ს სახელობის საგურამოს რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კონტინგენტით დაკომპლექტების შესახებ 19
5. ბრძანება № 128—ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეურნეო მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 22
6. ბრძანება № 163—აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების მდგომარეობის შესახებ 48
7. ბრძანება № 192—ქალაქების ქუთაისის, ტყიბულის, გორისა და ზუგდიდის, წყალტუბოს, ზუგდიდის, ხობის, გორის, ქარელის, კასპისა და ზესტაფონის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების მდგომარეობის შესახებ 56
8. ბრძანება № 193—ქ. თბილისის, ლენინის, ოქტომბრის, პირველი მაისის, კალინინის, ორჯონიკიძის, კიროვის, 26 კომისრისა და საქარხნო რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების მდგომარეობის შესახებ 62

9. ბრძანება № 194—ქ. ქ. რუსთავისა და ფოთის, ბორჯომის, გეგეჭკორის, დუშეთის, ყაზბეგის, ყვარლის, მცხეთის, ორჯონიკიძის, თერჯოლისა და წულუკიძის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების მდგომარეობის შესახებ 70
10. შინაარსი 77

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე
ტექ. რედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/V-74 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5.

შეკვ. № 373 უე—05576 ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11,
უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11 Государственного Комитета
по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета
Министров Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19